პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული გაზეთი

1934 ნოემბრის 18 — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ექვსდღიური ორგანო — ფასი 30 კაპ. № 25

იოსებ გრიშაშვილის, შალვა დადიანის, პაოლო იაშვილის, ალიო მაშაშვილის, ნიკოლო მიწიშვილის, ბესო ჟღენტის, პლატონ ქიქოძის, სიმონ ჩიქოვანის და პანტელეიმონ ჩხიკვაძის რედაქტორობით

სრულიად საკავშირო ბიბლიოთეკა

ჩვენ გვჭირდება მებრძოლი ლიტერატურული პრესა

მეტი კრიტიკა

„ლიტგაზეთი" მისი ერთდაგვარ რეორგანიზაციის შემდეგ უეჭველად გაუმჯობესდა. იგი სისტემატურად თავის დროზე გამოდის, უფრო შინაარსიანი გახდა, მხატვრულად უკეთესად ილუსტრირებულია, სტილი შედარებით ადვილია, გასაგებია და რაც მთავარია იკითხება უეჭველად ხალისით.

ამასთან ერთად, ნაკლიც, რასაკვირველია, ჯერ ბევრი აქვს. მათ გამოსასწორებლად ბევრი შრომა და ბრძოლა დაჭირდება რედაქციას, მწერალთა კავშირს და მკითხველთა საზოგადოებას.

ხხვათაშორის ერთ-ერთ ასეთ დიდ ნაკლად მიმაჩნია კრიტიკა-ბიბლიოგრაფიის საქმის სუსტად დაყენება.

მომავალში უფრო ხშირად და სერიოზულად უნდა მოეწყოს მხატვრულ ნაწარმოებთა განხილვა: კარგი უნდა კარგად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს, ცუდი უნდა გაკრიტიკდეს და მკითხველი კი გაფრთხილებულ იქნეს. ამას დიდი მნიშვნელობა ექნება განსაკუთრებით პარტიულ აქტივისათვის, რომელსაც დრო არ აქვს ყველაფერი წაიკითხოს, რაც გამოდის. საჭიროა მისთვის შერჩევა.

კრიტიკის ამაღლებით ბევრს გადაურჩენთ წიგნის ძებნაზე დასახარჯ დროს, ბევრს შეუნარჩუნებთ უშინაარსო და უნიჭო წიგნების წასაკითხ დროს და ბევრს შევაყვარებთ მხატვრულ ლიტერატურის კითხვას, რასაც ზოგიერთი ჯერ კიდევ კომფორტად თვლის.

რაჟდენ ზედგინიძე

(საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კულტ-პროპის გამგის მოადგილე)

ჩვენ გვჭირდება მებრძოლი ლიტერატურული პრესა.

ამ დებულებას ამტკიცებს ჩვენი გაზეთის ყოველი ნომრის გამოსვლა. რაც უფრო ფართოდ ვეხებით საერთოდ კულტურისა და კერძოდ ლიტერატურის საკითხებს, მით უფრო მატულობს მკითხველთა ინტერესი ჩვენი გაზეთისადმი. არა მარტო ქალაქის მშრომელებში, არამედ განაპირა რაიონის სოფლებშიაც კი შეიჭრა ჩვენი გაზეთი და დღითი-დღე იპყრობს მკითხველთა ახალ ფენებს.

უამრავი წერილი მოგვდის მკითხველებისგან გაზეთის ხარისხის, მისი თემატიკის შესახებ: გაზეთის შემდგომი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით შემოაქვთ წინადადებებიც.

„გულდასმით ვადევნებ თვალყურს ჩემთვის საყვარელ „ლიტგაზეთს" — იწერება გიორგი ხუნაშვილი (ს. ქვემო მადარო, ქიზიყი), იგი აღნიშნავს ახალგაზრდა კადრების დაწინაურებაში გაზეთის გაბედულ ნაბიჯს. „გაზეთმა მომიმატა სიმხნევე და გაბედულობა" — დასძენს იგი.

სოფ. ბოხვაურიდან (ოზურგეთის რაიონი) ვ. ვადაჭკორია ლექსით მიმართავს „ლიტგაზეთის" ავტორებს: „გამოგტეხივარ, დღემდე თქვენს გაზეთს, სხვა თაშორის თუ წავიკითხავდი", ახლა იგი მუდმივი მკითხველია. აღნიშნავს გაზეთის მრავალფეროვანებას, მასიურობას, თემატიკის სიფართოვეს და სხვ. „თქვენი გაზეთი მეც მახალისებს და მიხარიაო".

მკითხველი უშუალოდ რედაქციაშიც შემოდის და აცხადებს თავის აზრსა და ნება-სურვილებს გაზეთის მუშაობის გარშემო.

ხაშურის რაიონის ერთერთი სოფლის სამკითხველოს გამგემ ავალიშვილმა (ხანშესული მოხუცი) რედაქციაში ყოფნის დროს განაცხადა: სოფლად დიდ ინტერესს იწვევს ჩვენი გაზეთი, ჩემ პატარა სოფელში უკვე 15 ხელისმომწერი მყავსო. ავალიშვილს შემოაქვს წინადადება „ლიტგაზეთით" უფრო დაინტერესებულ სოფლის სამკითხველოებსაც მიეცეს გამოცხადებული პრემიები.

ხშირია, როცა ჩვენი გაზეთის ნომრებს კოლექტიურად კითხულობენ და არჩევენ რაიონის ლიტწრეებში, ქალაქის კლუბებში. სიღნაღიდან სიმონ ყაჯარდუხოვი გვატყობინებს, რომ გაზეთი ლიტწრეებისათვის სახელმძღვანელოდ გადაიქცა. მაგრამ რაიონს ჯერ-ჯერობით მისდის გაზეთის მცირე რაოდენობა. სამეგრელოს ერთ სოფელში კი (ნოსირი) ჩვენ გაზეთს 60 ხელის მომწერი ჰყავს.

ჩვენი გაზეთი დღითი-დღე პოპულარული ხდება, მისი ყოველი ნომრის გამოსვლას ელის მკითხველი როგორც ქალაქად, ისე დაშორებულ სოფლებშიაც კი, მაგრამ არსებულ მიღწევებით გაზეთი ვერ დაკმაყოფილდება, მის ფურცლებზე ჯერ კიდევ ვერ გამოგვიტანია მთელი რიგი აქტუალური საკითხები, რაც მთავარია — ჩვენ ჯერ არ გაგვიშლია ლიტერატურული თვითკრიტიკა (იხ. სარედაქციო წერილი უკანასკნელ გვერდზე).

ამისათვის კი საჭიროა მკითხველთა უფრო ფართო ფენების დარაზმვა ჩვენი გაზეთის ირგვლივ.

„ლიტგაზეთი" იბრძვის მასობრივ მებრძოლ მხატვრულ ტრიბუნად გადაქცევისათვის.

გავაფართოოთ მოქმედების არე

„ლიტერატურული გაზეთი" საბჭოთა კულტურული ზრდის. თვით გაზეთი საგრძნობლად გაიზარდა. მის უკანასკნელ ნომრებს თვალსაჩინო წარმატება ეტყობა. ქართველებს უძველესი ლიტერატურული ტრადიცია გვაქვს. უცნაურ, მაგრამ ისტორიულად საინტერესო ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ძველს საქართველოში „ვეფხის ტყაოსანი" ძვირფასს მზითვად ითვლებოდა. დღევანდელი საქართველო სოციალიზმის მშენებელი მუშის სამშობლოა. დღეს, მეორე, მგონი, არსად მოინახება ისეთი მხარე, რომლის უმაღლეს სკოლაში, პროპორციულად, ამოდენი მუშისა და გლეხის შვილი სწავლობდეს. და ეს პატარა ხალხის განათლებულთა დიდი არმია კანონიერი მემკვიდრეა ქართული კლასიციზმის.

მაგრამ ქართული კლასიკა დღევანდელობას საზრდოთ არ ეყოფა. დღეს ჩვენთვის ისე საჭიროა მსოფლიო შემოქმედების მძლავრი ძარღვები, როგორც არასოდეს. ჩვენს კულტურულ ფრონტს ჩვენი საქმეც ბევრი აქვს საკეთებელი, მაგრამ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით ბევრს რამეს ვერ გავაკეთებთ. მე მინდა, რომ „ლიტერატურული გაზეთი" გადაიქცეს ისეთ საზრდოთ, რომელსაც ყოველ დასვენების დღეს კითხულობდეს თვითეული მშრომელი. მისი წაკითხვა ერთგვარი სულიერი სპორტი უნდა გახდეს. ეს არაა ოცნება. ეს რეალური შესაძლებლობაა. ამის განხორციელებისათვის აუცილებელია გავაფართოოდ, როგორც გაზეთის მოქმედების ძალების არე, ისე თვით „ლიტერატურის" ცნება. გაზეთმა სამსახური უნდა გაუწიოს მიმდინარე კულტურას მთლიანად. მან უნდა აღზარდოს მკითხველის გემოვნება. მან ქართველ მუშას მხატვრული სიტყვა უნდა ზეაყვაროს.

პროფ. მოსე გოგიბერიძე

ერთფეროვნების წინააღმდეგ

„ლიტგაზეთს" მე უწინაც ვკითხულობდი და ვკითხულობ ახლაც. გადახალისებული გაზეთი ხარისხით გაცილებით მაღლა დგას წარსულზე. გადახალისებამდე გაზეთი ერთფეროვანი იყო. მასში თითქოს ერთი და იგივე მწერლები იღებდენ მონაწილეობას, ამიტომ არ მაკმაყოფილებდა.

ახლა გაზეთი გაფართოვდა. იგი მეტ მწერლებს იკრებს და მრავალ საკითხს აშუქებს.

უდიდეს ნაკლად მიმაჩნია ის, რომ გაზეთში არ თავსდება კრიტიკული წერილები. ჩვენ ვკითხულობთ მხატვრულ ნაწარმოებს, მაგრამ არა გვაქვს მისი კრიტიკა. ამჟამად ჩვენ გვესაჭიროება მეტი კრიტიკა.

ვაგონების სარემონტო ქარხნის მუშა

გრ. ტაბატაძე

გაზეთის გუნებრივი ადგილი

„ლიტგაზეთი" ყოველ დღით უფრო და უფრო პოპულარული ხდება. აიხსნება ეს მით, რომ იგი მოკლე მიმოხილვებით და მხატვრულ პატარა ნაკვეთებით ქართულ ლიტერატურულ ცხოვრების ცოცხალ მიმდინარეობის ნიმუშების მოცემას ახერხებს. ახალი ამბავი ცხოვრების მთელ მიმდინარეობის ინტერესის მატარებელია და ლიტერატურაც, როგორც ცხოვრების ნაწილი, ახალ ამბავს საჭიროებს და მასში გამოივლინება, „ლიტგაზეთმა" ამ მიმართულებით თავისი ბუნებრივი ადგილი მონახა და ახლო მომავალში იგი **მუდმივი საჭიროების ხასიათს** მიიღებს.

სასურველია გაზეთის განყოფილებები მასალის განლაგების მხრივ ისე იყოს დადგენილი, რომ მკითხველმა მისი შინაგანი სახე ერთხელ და სამუდამოდ იცოდეს. ძნელია, მაგრამ სასურველია **უცხოეთისა და საკავშირო ლიტერატურულ ინფორმაციის გაძლიერება.**

პროფესორი შალვა ნუცუბიძე

ახლო წარმოებასთან

სისტემატურად ვერ ვკითხულობ „ლიტგაზეთს". მისი გადახალისების შემდეგ შესამჩნევად გაუმჯობესდა ხარისხი და მასთან ერთად მხატვრული გაფორმებაც თვალსაჩინო ხდება.

დადებით მხარეებთან ერთად გაზეთს აქვს ერთი დიდი ნაკლი: მის ფურცლებზე **ნაკლები ყურადღება ექცევა კრიტიკის საკითხებს.** რატომ ხდება ეს ასე, ჩემთვის გაუგებარია.

„ლიტგაზეთი" **უფრო უნდა დაუახლოვდეს წარმოებას,** გააშუქოს მისი კულტურული ცხოვრება, შემოიკრიბოს თავისი ირგვლივ მკითხველები და დაეხმაროს მათ ლიტ.-საკითხების გარკვევაში.

მ. როსტიაშვილი

(ორთქლმავალთა შემკეთებელი ქარხანა)

გაშალეთ შემოქმედებითი დისკუსია

ჩემის აზრით „ლიტგაზეთის" უკანასკნელი ნომრები აშკარად გაუმჯობესდა: მთელი რიგი მეტად საინტერესო, შინაარსიანი თეორეტიული წერილებისა, მხატვრული მწერლობის ნიმუშები, ნოველებზე კონკურსის მეტად ორიგინალური ცოცხალი ფორმა, მეზობელ ხელოვნებათა აქტიური საკითხების გაშუქება ამის საუკეთესო დამამტკიცებელია. ტექნიკურად გაზეთი კარგი გემოვნებით და მეტად კულტურულად იცემა.

„ლიტგაზეთს" აქვს უეჭველად დიდი ნაკლიც: ამდენი ხანი მან ვერ მოახერხა მოეწყო ღრმა პრინციპული დისკუსია ისეთ სერიოზულ საკითხზე, როგორიც არის დრამატურგია და მასთან დაკავშირებით უფრო დაკვირვებით შეხებოდა თეატრს და კინოს.

საჭიროა ასეთ მეტად საპასუხისმგებლო საკითხებზე მოთავსებული იქნეს პრინციპული, ნამდვილ (ცოდნაზე აგებული) თეორეტიული წერილები, რაც ჭეშმარიტად აამაღლებს როგორც ავტორს, ისე მკითხველს.

კინორეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია

კავშირი რაიონებთან

„ლიტგაზეთი" შორდება ტფილისს, ცენტრის ლიტერატორთა ვიწრო წრეების გარემოცვას და საქართველოს რაიონებში მშრომელ მასის ფართო ფენების ინტერესს იმსახურებს.

გაზეთის დიდ მიღწევად მიმაჩნია, რომ ის თავის ფურცლებზე აშუქებს ადგილებიდან მასიურ კულტ-მუშაობის მტკივნეულ საკითხებს (კლუბები, ლიტერატურული წრეები, ბიბლიოთეკები და სხვა).

თვალში გვხდება იუმორის ერთფეროვნება. ყველა ნომერში იუმორისტული ნარკვევები მხოლოდ ერთ ავტორს ეკუთვნის. ჩემის აზრით ასეთი „მონოპოლია" დარღვეულ უნდა იქნეს.

ბორჯომის განგ. განყოფილების გამგის მოადგილე ილია მაიხურაძე

თავიდან

უკანასკნელ სტრიქონამდის

უდროობა მჭირს დიდი, მაგრამ თქვენი გაზეთის ყოველ ნომერს ვკითხულობ სიამოვნებით **თავიდან უკანასკნელ სტრიქონამდის.** მასში იშვიათია შემთხვეული მასალა: თითოეული ნომერი წარმოადგენს უმეტეს ნაწილად **ერთ მთლიანს,** რამდენადაც მას აქვს ძირითადი თემა, რომელიც ფლობს ნომერს; დღევანდელი დღის გარდა მასში ადგილი ეთმობა ჩვენს (და ჩვენთვის საინტერესო უცხოურ) წარსულს. მასში საკმაოდ შუქდება ლიტერატურის (და საერთოდ ხელოვნების) თეორიისა და პრაქტიკის საკითხები.

ენის სისწორის მხრივ სანიმუშოდ შეიძლება ჩაითვალოს.

ამიტომაა თქვენი გაზეთი სასიამოვნო საკითხავი ფართო მასებისათვის, ერთგვარი სკოლა—ახალგაზრდა დამწყებ მწერალთათვის

სალამით „ლიტგაზეთის" მკითხველი

პროფ. გიორგი ახვლედიანი

ლიტგაზეთი — ყოველ ოჯახში

ლიტერატურის თვალყურის დევნება, ახალი ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვა, ძველის მოგონება-გადათვალიერება და მათი კრიტიკული შეფასების გაცნობა ყოველი კულტურული ადამიანის მოთხოვნილებას წარმოადგენს. ამ მიზანს ემსახურება გადახალისებული „ლიტგაზეთი" და ამიტომ მას ყველა ქართველი მკითხველის ოჯახში უნდა ეჭიროს სათანადო ადგილი. ლექსები და პოემები, მოთხრობები, კრიტიკული წერილები ახალი და ძველი ლიტერატურის შესახებ, ცნობები ლიტერატურის ფრონტიდან და ახალ-ახალი ისტორიულ-ლიტერატურული და ბიბლიოგრაფიული ცნობები, რომლებიც „ლიტგაზეთში" იბეჭდება ამ გაზეთს მეტად საინტერესოდ ხდის. მისი გარეგნული შეხედულება, მაგ. დასურათება და საერთო გაფორმება—მას შესახედავადაც და ხელში დასაჭერადაც სასიამოვნოდ ხდის, ამიტომ მე არ შემიძლია გულწრფელად არ ვუსურვო „ლიტგაზეთს" ფართო გავრცელება არა მარტო ინტელიგენტურ წრეებში, არამედ ჩვენი ქალაქების მკითხველ მუშებში და ჩვენს სოფლის კოლმეურნე და მშრომელ გლეხებში.

პროფესორი შალვა მიქელაძე

ლიტერატურული გაზეთი

მომავალში გავრცელდება უმთავრესად ხელისმოწერის საშუალებით. საცალო გავრცელება საგრძნობლად შეკვეცილდება. რედაქცია მოუწოდებს „ლიტგაზეთის" ყოველ მკითხველს გადავიდეს ხელისმოწერაზე.

ვასილ ბარნოვის დასაფლავება

ათ ნოემბერს, დღის სამ საათზე დიდძალი ხალხი მოაწყდა მწერალთა სასახლეს, სადაც შუა დარბაზში დასვენებული იყო ბარნოვის ცხედარი.

დარბაზში გაისმოდა ორკესტრის სამგლოვიარო ხმა. მწერლის პატივისმცემლებს ყვავილებითა და გვირგვინებით შეემკოთ მისი კუბო და შემოდგომის ყვავილებში ფრესკივით მოჩანდა მკერდამდე თეთრწვერა, თითქოს ბრინჯაოსგან გამოკვეთილი, სიმშვიდით შთაგონებული, მაგრამ ყვირომალებთან სიკვდილის ხელით შემოხაზული ბარნოვის სახე.

კუბოსთან საპატიო ყარაულებად ქართველ მწერლებთან, პარტიისა და ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად იდგნენ უკრაინელი და რუსი მწერლებიც.

სხვებთან ერთად ბარნოვის ცხედართან გამოსამშვიდებლად მოვიდა 94 წლის უხუცესი პედაგოგი მიხ. კალანდარიშვილი.

დარბაზში გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს მწერლებმა მიხ. ჯავახიშვილმა და სერგო კლდიაშვილმა.

მთავრობისა და პარტიის სახელით მწერალთა სახლის აივნიდან სიტყვა წარმოთქვა ამხ. სილვა თოდრიამ.

— მიუხედავად მისი ღრმა მოხუცებისა— თქვა ამხ. თოდრიამ—ვასილ ბარნოვმა გასაბჭოების პირველ წლებშივე ბევრ ახალგაზრდა მწერალზე ადრე შეიგნო პროლეტარიატის ისტორიული მისია და გულწრფელად მიესალმა საბჭოთა ხელისუფლებას.

პროცესია მწერალთა სასახლიდან დაიძრა საღამოს ხუთ საათზე და უკვე შეღამებული იყო, როცა მიაღწია მთაწმიდას.

აქ უკრაინის ორგკომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. კულიკმა გამოსათხოვარ სიტყვაში აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს უკრაინისა და ქართველ ხალხთა ორგანიულად დაახლოვებისათვის ვასილ ბარნოვის, როგორც ისტორიული რომანების დიდი მწერლის, შემოქმედებას.

მოკლე და მოხდენილი სიტყვა წარმოთქვა ამხ. შ. დადიანმა. აგრეთვე ილაპარაკეს ს. შანშიაშვილმა, თ. სახოკიამ და სხვებმა.

მთაწმიდის მიდამოებში ბნელოდა. ქვევით, სადაც ოდესმე ბეუტავდა ბარნოვის საყვარელი ძველი თბილისი—ისანი, გარეთ-უბანი და სხვა, რომელიც რომანის ფურცლებზე მას არა ერთხელ გაუცოცხლებია, ოქროს ვარსკვლავებით მოჭედილი ლაჟვარდივით ამოელვარდა ახალი თბილისი, როცა მე-19 საუკუნის შესანიშნავი მწერლის ვასილ ბარნოვის ნეშთი სამარეს მიაბარეს.

მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვა

ვ. ბარნოვის დასაფლავებისას

ქართულ მწერლობას ერთი ბურჯი კიდევ გამოეცალა. დღეს სამუდამოდ ვეთხოვებით საოცარ მწერალს და საოცარ ადამიანს—ჩვენს სულიერ ძმას და მასწავლებელს — ვასილ ბარნოვს. ჩვენს დროში ის საოცარია იმიტომ, რომ ამგვარ ადამიანს ძველს კედლის მხატვრობაში თუ იპოვით, ან წიგნში თუ ამოიკითხავთ. ის რომ რამდენიმე საუკუნით უფრო ადრე დაბადებულიყო, ან დიდი მემატიანე, ან სამონასტრო მოღვაწე გამოვიდოდა.

არავის არ გვინახავს ეს ადამიანი აღელვებული, მომჩივარი, უსაქმური; არავის არ გაუგია მისგან მოძმის გამკილავი სიტყვა, არც ის გაგვიგია, რომ მას უკადრისი რაიმე საქციელი ჩაედინოს.

სხვა დროს განსვენებული ვასილი შესაძლოა წმიდანად ჩაეთვალათ, ჩვენ კი ამგვარი ადამიანის ხილვას თითქმის გადავეჩვიეთ და ამიტომ გვეუცნაურება იგი.

ჩვენს გულში ზოგჯერ ისევ ჩუჩუნებს სკეპტიკისი, ჩვენ გვაკლია ერთგულება საქმისა და მოძმისადმი, ანგარება ღრღნის ჩვენს აფორიაქებულ სულს და ამიტომ გვეუცხოვება განსვენებულის მუდმივი ეხნეობა და ოპტიმიზმი, მუდმივი სიბეჯითე და ერთგულება, მუდმივი უანგარობა და სიმშვიდე.

ჩვენ მეტისმეტად შევეჩვიეთ რეკლამას, ყრიამულსა და საკუთარი თავის განდიდებას. თითქმის ყველას ზარი გვკიდია, უკან კი მთელი ამალა მოგვდევს ბუკითა და ნაღარითა. ზოგის ამპარტავნება, ცუდმედიდობა და ფუქსავატობა უდიდეს ხიფათს გვიქადის და ლამის მოარული სენივით მოგვედოს.

ჩვენ შრომის ქვეყანაში ვცხოვრობთ, თვითონაც მშრომელები ვართ. მიუხედავად ამისა, ჩვენი საქმე ჯერ სრულ კმაყოფილებას არ გვაძლევს. ჩვენ ხშირად ვღალატობთ ჩვენ სინდისს. ალბათ ამიტომ გვაოცებს, ჩვენო ძვირფასო ვასილ, შენი გამძლე საქმე და შენი მშვიდი სინდისი, რომელიც საუკეთესო მოკავშირეა შრომისა.

შენ ნახევარ საუკუნეზე მეტს მოღვაწეობდი და შენი კალამი მაშინაც კი მუშაობდა, როცა ხელი გითრთოდა, შენი სიტყვა მაშინაც კი მეტყველებდა, როცა კალამს ვეღარ ამუშავებდი, ხოლო მხატვრული სიტყვა მაშინღა შეგიწყდა, როცა ეგ ენა დაგიდუმდა. შენ, შენი კალამი საფლავის კარამდის მიიტანე და შენს მომდევნო თაობებს უბერებლობისა და დაუღალობის საოცარი გაკვეთილი მოგვეცი, მოგვეცი და თითქო გვითხარი: ფიცხელსა, ნაკუწოვანსა და ხანმოკლე შრომას ისევ დინჯი სისტემატური შრომა სჯობიაო. იგი ზედგამოჭრილია შენზე, იგი შენი ცხოვრებისა და შემოქმედების სინთეზია, და ნაყოფიც უხვია და ღირსეული.



ბარნოვის პროზა ზუსტი ანარეკლია ავტორის ხასიათისა. ისიც ბარნოვის პიროვნებასავით დინჯია და ჩუმი, შუქფენილი და მოკრძალებული, გამჭვირვალე და მარტივი, რომანტიულ რიდეში გახვეული, მეტად დარბაისლური და გულმხურვალებით გამთბარი.

მისი ქართულიც ავტორივით მშვიდია და უბრალო, ნათელი და ლექსიკურად მეტად მდიდარი.

განსვენებული ზედმიწევნით იცნობს თავისდროინდელ სოფელსაც და ქალაქსაც, მაგრამ მას უფრო შორეული წარსული ეხერხება, ზოგჯერ კი თითქო კიდეც ენატრება.

სასულიერო აკადემიის ფილოსოფია იმის მხატვრულ შემოქმედებაში აღმოსავლურ სიბრძნედ გადაიქცა, რომელსაც ის ჭაბუკური მიამიტობა და ის გულწრფელობა შერჩა, რომელნიც მწერლის ნამოქმედარს სითბოს და სიცოცხლის უნარს აძლევენ.

ბარნოვი მეტად იშვიათად და მეტად ძნელად ამოდის თავის სულიერ ქერქიდან, ამიტომ არის თითქმის ყველა მისი გმირი უაღრესად ზომიერი, კეთილი, ქრისტიანული მორალით გაჟღენთილი. მიუხედავად რომანტიული ნაკადისა, ბარნოვის წიგნებს ძლიერი ალგეთური სურნელი ასდის. მისი შემოქმედება უაღრესად მიწიერია, მისი ფესვები ათიოდე ადლის სიღრმეზე ჰყრია მიწაში, და ახლა თვითონაც იმ მიწაში ჩადის, რომელსაც ის ნახევარ საუკუნეზე მეტს უმღეროდა.

ბუნების უძველესი წესია და წადი, ჩადი, ჩვენო დაუვიწყარო, ძმავ და მასწავლებელო, წადი, მხოლოდ შენი საოცარი შრომის უნარი, შენი სულიერი სიმშვიდე და შენი სუფთა სინდისი ჩვენ დაგვიტოვე.

სამუდამო მშვიდობა და ხსოვნა ჩვენ ძვირფას ვასილს.

ქართლის ღამე

ლადო მაჭარაძე

აგერ მთვარემ ციდან გადმოიხედა,
და ხეებმა ჭრელი სუფრა გაშალეს,
ხიბნელე კი, მთა რომ თავზე იხვევდა:
ჩამოვარდა როგორც ქვრივის თავშალი.
ყავრიანი სახლები მხარეში.
ჰგავს სიბნელე მოხუც უძლურს, ხანიანს,
სიყვარული ხელგაწვდილი თარეშობს.
გაბედული თითქოს ზელიმხანია.
არწივები.
კლდენი გადაკორტნილი,
დაბლა წყალი შფოთიანი და ცივი,
ფესვებიდან წვიმის წყარო მოტირის,
სცივა მუხას ფეხსოველი კაცივით.

✡

ზევით ტყეა,
არსად მხეცი ვერაგი,
არც წყლის ყეფა: ისმის მოთქმა ხევური,
მთის კალთებზე გზები — გველის პერანგი,
ქარიან დღეს ძეძვზე შემოხვეული,
შორს კი ჯავა.
ბილიკები და გზები
კლდის ნაპობში ღრუბლები ჩაწვენილი,
კლდე—წყლის დავა,
ხეთაგურის ლექსები,
მარგალიტად ლიახვში ჩაცვენილი,
ალბათ ახლა კლდეზე სხედან ოსები,
მთა დაჭყურებს ცამდე ამაღლებული,
ძირს ლიახვი ვეღებს ეალერსება,
ქაფიანი, ცივი, ადუღებული.

✡

თქვი ლიახვო!
მე ხომ შენი ტოტი ვარ,
შენი პირმშო,
შენი ძე—ნაშიერი,
დედავ, ვნახეთ დავეთხოვეთ ხეტიალს,
ჩვენ ორივე სიყვარულით მშიერი.
მხარეკ ვრცელო,
ჩემი წლების მაიპო,
მზის შუქაო ლაჟვარდიდან მიწამდე
უნდა მკერდი ქვა ყორითა აივსო,
სიხარული აქ თუ ვერ განიცადე.
შენი ტრფობა, ქართლო, გულზე მომედო,
აქ წუხილნიც ლხენად დაიღვრებიან,
—„ახალგაზრდა ლიახველო პოეტო,
კლდესთან ბრძოლით წყალნი არ იღლებიან“,

✡

—მთები ღრუბლის სირაქლემებს ტვირთავენ,
ბრძოლის ველი თითქოს ჩემი მხრებია...
—შენ ცხოვრება და გმირობა თქვი, თორემ
სულ დუმილით ქვანიც დაიღლებიან.
ამ ღამეში მთვარეს მოჰფარებიან.
ვარსკვლავები, მარგალიტს რომ ისხამენ,
და როგორც ბავშვს, დედა შემყვარებია:
რუს პირები, მთები და ქართლის ღამე.

ყრილოგა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მწერლობა

რუსი კრიტიკოსის

დ. მირსკის

წერილი

მწერალთა ყრილობის დასაწყისში მოხდა პატარა ეპიზოდი, რომლის შესახებ, მგონია, არ დაუწერიათ: კოლონების დარბაზში, სადაც ყრილობა მიმდინარეობდა, კედლებზე დაკიდებული იყო მწერალთა პორტრეტები — დასავლეთის სოფოკლედან ბალზაკამდე და რუსეთის პუშკინიდან ჩეხოვამდე. ამგვარად, საბჭოთა კავშირის ხალხთა კლასიკური ლიტერატურა წარმოდგენილი იყო მხოლოდ რუსი მწერლებით. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ყრილობის მრავალმა დელეგატმა და მეხამე თუ მეოთხე დღეს პორტრეტებს მიემატა კიდევ ორი: ქართველის—შოთა რუსთველისა და უკრაინელის—ტარას შევჩენკოს პორტრეტი.

ეს შემთხვევა მაინცდამაინც არაფერს სასაზელოს არ ლაპარაკობს ყრილობის ორგანიზაციულად მომწყობთა შესახებ, მაგრამ ეს პატარა ეპიზოდი, როგორც წყლის პატარა წვეთი, გამოსახავს ყრილობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს.

ყრილობამ აგრძნობინა ყველას საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის უდიდესი მნიშვნელობა. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ წინად, მოსკოვისა და ლენინგრადის მწერალთა წრეების დამოკიდებულება „რუსეთის იმპერიაში“ შემავალ ხალხთა ლიტერატურისადმი იყო მედიდური, უკეთეს შემთხვევაში გულგრილი. ხშირად ჩვენი დროის რუსი მწერლებიც კი, პუშკინისა და ტოლსტოის მემკვიდრეობით გადიდგულებულნი, ამ ხალხთა მწერლობათ უყურებდენ როგორც ხელმოკლე ნათესავს და მხოლოდ მოვალეობა აიძულებდა ელაპარაკნათ მათ ნაციონალურ კულტურათა ზრდაზე საბჭოთა პირობებში.

ამ მხრივ საბჭოთა მწერლები ნაბიჯით უკან იხევდენ ოქტომბრის წინადროინდელი რევოლუციურ ინტელიგენციასთან შედარებით. ასე, მაგალითად: პროლეტარული პოეტების, ლიტერატურისმცოდნეების და კრიტიკოსების საკმაოდ მნიშვნელოვანი ჯგუფი ერთერთ თავის კოლექტიურ წერილში აკრიტიკებდა რა თავადაზნაურულ - ბურჟუაზიული ლიტერატურული მემკვიდრეობით გადაჭარბებულ გატაცებას და ხაზგასმით აღნიშნავდა რა წინანდელი რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის დიდ მნიშვნელობას, საუკეთესო ნიმუშად ასახელებდა ისეთ რევოლუციურ-დემოკრატიულ პოეტს, როგორიც არის ფრანგი მწერალი ბერანჟე. მაგრამ იმავე რუს ამხანაგების ჯგუფი ივიწყებდა ამავე დროს, რომ უკრაინულმა ლიტერატურამ ტარას შევჩენკოს სახით წარმოშვა შეუდარებლად დიდი და უფრო რევოლუციონერი პოეტი, ვიდრე ბერანჟე. სამოცდა მეათე წლების რუს რევოლუციონერ-ხალხოსნებისათვის კი იგივე შევჩენკო იყო ყველაზე ახლობელი და საყვარელი პოეტი, რომელმაც ყოველ რუს პოეტზე უფრო ძლიერად გამოხატა მეფის იმპერიის ყველა კუთხეში დაწყებული გლეხური რევოლუციის პათოსი. როგორც ჩანს, ეს რუსი რევოლუციონერი-ხალხოსნები უფრო მაღლა იდგენ ჩვენი დროის ზოგიერთ რუს მწერალზე.

ყრილობის შემდეგ მედიდური დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების ლიტერატურისადმი სუსტდება. ყრილობამ განსაკუთრებული სიმწვავით აგრძნობინა ყველას, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურა არ არის საიდანღაც მოვლენილი, უდედმამო, ობოლი და რომ მას აქვს დიდი წარსული, რომელიც შეადგენს იმ კულტურული მემკვიდრეობის განძს, ევროპისა და რუსეთის კლასიკური ლიტერატურის გვერდით, რომლის კრიტიკული ათვისება, ლენინის მითითების თანახმად, ჩვენი საერთო მოვალეობაა. ეს მემკვიდრეობა ხშირად იმდენად მნიშვნელოვანი, იმდენად საყოველთაო ღირებულების მატარებელია, რომ მათი შენარჩუნება და კრიტიკული ათვისება არ შეიძლება შემოიფარგლოს ვიწრო ადგილობრივ ჩარჩოებით. თუ ნაციონალისტები ცდილობდენ ჩაბღაუჭებოდენ თავიანთ ნაციონალურ მემკვიდრეობას, როგორც მხოლოდ და მხოლოდ თავის საკუთრებას, როგორც ერთგვარ ტრადიციას, რომელიც ჰყოფს მათ „უცხოელებისაგან“ — საბჭოთა პირობებში წარსულის ეს მემკვიდრეობა უნდა გახდეს საერთო კუთვნილებად, რომელიც კი არ ჰყოფს და აშორებს, არამედ აახლოვებს მათ.

ყოველივე ეს შეეხება არა მარტო იმ ხალხებს, რომელთაც წარსულში მოეპოვებათ დიდი მწერლობა, არამედ იმ ხალხებსაც, რომელთაც პირველად მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა საკუთარი ანბანი, რადგან მრავალ ამ ხალხთაგანს მოეპოვება ხალხური შემოქმედების უდიდესი განძი. თუ ხალხური შემოქმედება თავისი კულტურული დონით უფრო შორს დგას ჩვენგან, ვიდრე განვითარებული კლასობრივი საზოგადოების ხელოვნება, სამაგიეროდ იგი ახლოა ჩვენთან იმ მხრით, რომ გაცილებით უფრო ნაკლებად ატარებს გაბატონებული კლასის, ექსპლოატატორების „გაბატონებული იდეების“ დაღს. იგი ახლო დგას მშრომელი მასების ცხოვრებასთან: ხალხური შემოქმედების დიდ მნიშვნელობას ახალი მხატვრული ლიტერატურის შექმნისათვის განსაკუთრებით გაუსვა ხაზი გორკიმ საბოლოო სიტყვაში. ამ მნიშვნელობის შეგნება გამოჩნდა იმითაც, რომ ყრილობა განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდა ამ ხალხური შემოქმედების ცოცხალ წარმომადგენელს, დაღესტნის სახალხო პოეტს სულეიმან სტალსკის.

თუ ამ ყრილობიდან უფრო საგრძნობი ხდება შემობრუნება ნაციონალური ლიტერატურისკენ საერთოდ, არც ის უნდა იყოს საიდუმლო ვინმესათვის, რომ ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ქართულმა ლიტერატურამ. საქართველოს დელეგაციის მოხსენება გახდა ყრილობის ერთერთი ცენტრალური მომენტი. მწერლებმა, რომლებმაც კონკრეტულად არაფერი არ იცოდენ ქართულ ლიტერატურაზე, რომელთაც ბუნდოვანად გაეგონათ რუსთველის პოემის არსებობა მხოლოდ, დაინახეს მსოფლიო მაშტაბის დიდი ლიტერატურის, თუმცაჯერ კიდევ არა მკაფიოდ, გამოკვეთილი, მაგრამ უდიდესი ინტერესის აღმძვრელი კონტურები. ჩვენ დავინახეთ „ვეფხის ტყაოსანში“ ახალი, უცნობი პოეზიის ამაღელვებელი სფერო, რომელიც თავისი სიმდიდრით და თვისებურობით შეიძლება შეედაროს მხოლოდ მსოფლიო პოეზიის უმაღლეს მწვერვალებს. მაგრამ ჩვენ ვიგრძენით ისიც, რომ რუსთველი რაღაც განმარტოებული კუნძული კი არ არის, არამედ ძლიერი მთაგრეხილის უმაღლესი მწვერვალი. ჩვენ ვიგრძენით ქართული ლიტერატურის თავისებურება და მრავალფეროვნება და ამასთან ერთად მისი დიდი ღირებულება მთელი კაცობრიობისათვის. მე ვფიქრობ და არც შევცდები, თუ ვიტყვი, რომ რუსთველის შემდეგ, ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს ჩვენში ვაჟა-ფშაველა მისი თანამედროვეობისათვის სრულიად მიუმსგავსებელი თავისებურებით, თავისი უბრალოებით, თავისი უძლიერესი ეპიურობით და ხალხურ შემოქმედებასთან სიახლოვით. ეს არ ნიშნავს, თითქოს სხვა უფრო დიდი კლასიკოსები არ ყავდეს საქართველოს. აქ ლაპარაკია იმ ჩვენთვის ახალ მომენტებზე, რომელიც არ აქვს სხვა ქართველ კლასიკოსებს და რომლებიც ტიპის მიხედვით ენათესავებიან ამა თუ იმ უცხო ან რუს კლასიკოსს. ქართული კლასიკოსებისადმი ინტერესი აძლიერებს ინტერესს ქართულ საბჭოთა ლიტერატურისადმი, რომლის საუკეთესო ნიმუშებში ჩვენ ვპოულობთ ნაციონალურ ფორმით მოცემულ სოციალისტურ შინაარს, ორგანიულად დაკავშირებულს დიდ კულტურულ ტრადიციასთან.

ძალიან კარგია, რომ ყრილობით გამოწვეულ ამ დიდ ინტერესს ქართული პოეზიისადმი, წინ დახვდა ჯერ კიდევ ყრილობამდე დაწყებული გაძლიერებული მუშაობა ქართული მწერლების რუსულ ენაზე გადასათარგმნად. ძალიან კარგია ისიც, რომ ეს მუშაობა ერთბაშად გავრცელდა მთელს ქართულ ლიტერატურაზე რუსთველიდან დაწყებული ახალგაზრდა პროლეტარულ მწერლებით გათავებული. ყოველმხრივ უნდა მივეგებოთ ქართული საბჭოთა პროზის ისეთ თვალსაჩინო ნაწარმოებთა თარგმნას, როგორიც არის კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ (რომელსაც მაღალი შეფასება მისცეს ავტორიტეტულმა მწერლებმა) და სერგო კლდიაშვილის „ფერფლი“, რომელიც უეჭველად წარმოადგენს საერთაშორისო მაშტაბით ერთერთ მეტად საინტერესო გლეხურ რომანს იმპერიალისტურ ომის ხანიდან.

ორ მოძმე საბჭოთა ლიტერატურის დაახლოვების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ორ უდიდეს რუს პოეტს—ბორის პასტერნაკს და ნიკოლაი ტიხონოვს, რომელთაც თითქმის ხელი აიღეს საკუთარ შემოქმედებაზე და მთელ თავის ენერგიას ახმარენ საბჭოთა საქართველოს პოეტების ნაწარმოებთა გადათარგმნას რუსულ ენაზე. ამავე დროს რამდენიმე პოეტი და მთარგმნელი მუშაობს რუსთველის პოემის გადასათარგმნად და ეს არის ნამდვილი სოციალისტური შეჯიბრება უდიდესი ქართველი კლასიკოსის საუკეთესოდ გადათარგმნისათვის.

ეს გაძლიერებული მუშაობა ქართული ლიტერატურის ათვისებისათვის აყენებს მთელ რიგ პრობლემებს, რომელთა სწორ გადაწყვეტას უაღრესად არსებითი მნიშვნელობა აქვს. იმედს გამოვთქვამ, რომ ამ პრობლემების დასმას ახლო მომავალში დავუბრუნდები.

ლიტგაზეთი



საკონკურსო მასალა

სარდიონ ბერეჟიანმა სადალაქოს კარი გამოიხურა. დაღამებულიყო, მაგრამ გვალვით გახურებულ ფილაქანს ბუღი ასდიოდა. დასიცხულნი უთავბოლოდ დაფუსფუსებდენ ვანიერ პროსპექტზე. სარდიონ ხალხის ტალღას აედევნა.

— ძია, გავწმინდოთ! — დაარახუნა ჩოთქი წაღების მწმენდავმა. სარდიონ მოტრიალდა. გამტვერული ფეხი ყუთზე შესდგა და აფიშებს მიაჩერდა.

„პოეტების საღამო“, — ამოიკითხა მან ფერად აფიშაზე.

სარდიონმა საათს დახედა და მწმენდავს შეუცაცხანა, დაჩქარეო. მოსახვევში ხალხი შეჯგუფებულიყო. ჩოჩქოლობდენ, ერთმანეთს მუჯლუგუნებით აწვებოდენ, ცხარობდენ კიდეც. სარდიონიც იქითკენ ეშურებოდა. გაისტუმრა თუ არა მწმენდავი, თვითონაც მოსახვევში გაჩნდა. მოლარეს პარტიზანის მოწმობა გაუწოდა, რიგს გარეშე ბილეთუ აიღო და ბაღში შესალვლელ კარებს მიადგა.

ვიღაც მოქალაქემ ფეხი დაადგა სარდიონს, გაწმენდილი ფეხსაცმელი დაულაქიანა, ბერეჟიანი მიბრუნდა და უზრდელ მოქალაქეს ‘ბეუკურთხა. ბაღში ბურტყუნით შევიდა.

„გორგიჯანოვის კაფე-შანტანი. დუდუკი და დაფა-ზურნა. ალიონამდე ქეიფი და დროსტარება“.—მოაგონდა სარდიონს რევოლუციის წინადროინდელი მუშტაიდი. მოგრძო ტერასა ზლაზვნით ჩაიარა და შადრევანს თავს წაადგა. სიგრილე იგრძნო ბერეჟიანმა. დასიცხულმა, გრილი ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა. აუზში ვერმა ისიელა. ფრთებშეჭრილ მეუღლეს ტორტმანით მიაშურა. თავი ნიკრტენებში ჩაუყო და გაინაბა. გაიღიმა სარდიონმა, ატორტმანებულ გედებს თვალი მოარიდა.

ბერეჟიანმა ადგილი გადაინაცვლა. ხეივნის სიღრმეში რომ შევიდა, ღობეს მიეყრდნო და აყვავებულ ცაცხვების დამათრობელი სურნელით გაბრუდა.

დგას სარდიონ ბერეჟიანი ცაცხვის ძირში და ლენინის ძეგლს მონუსხულ ჩიტივით მისჩერებია. თვალწინ სამოქალაქო ომების დრო ეხატება. გაშლილი ფრონტი, ქვემეხების ქუხილი, თავდასხმა, უკან დახევა, დაჭრილ-დახოცილები, პარტახი მიდამოები.

სარდიონმა შვიდი წელი დაჰყო ფრონტებზე. ყველაზე მძაფრად სამოქალაქო ომის ხანა ჩარჩა მას მახსოვრობაში. ბერეჟიანი პარტიზანული რაზმის წინამძღოლი იყო. ჩრდილო-კავკასიაში ვინ არ იცნობდა „შავწვერა“ პარტიზანს. მისი სახელის გაგონება შიშის ზარს გვრიდა თავაშვებულ მოწინააღმდეგეს. ყველა უფრთხოდა „შავწვერა“ პარტიზანის ხელში ჩავარდნას. სამაგიეროდ, პარტიზანები თავს ევლებოდენ თავდადებულ წინამძღოლს. მტრების მიმართ მუდამ მრისხანე და დაუნდობელი ბერეჟიანი, ბავშვივით გულღია და გულთბილი იყო ამხანაგებში. გარეგნობაც ხელს უწყობდა ამ მხრივ ბერეჟიანს. გრძელ წამწამებში მიყუჟული ლობიოს მარცვალივით ვიწრო, მაგრამ მუდამ ლმობიერი თვალები, უწყინარი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა მნახველზე. მუდამ ფერმკრთალსა და კაფანდარას, ჯაგარივით აყრილი შავი წვერი ბარის პირივით ეკიდა ჩალეწილ გულმკერდზე. სწორედ წვერი იყო მტრის თვალში მრისხანების სიმბოლო... შორიდან წვერით იცნობდენ. მიახლოებისას მაუზერი იპყრობდა მოსისხლეთა ყურადღებას და უკვირდათ: ნუთუ ამ კაფანდარა კაცმა დაიმსახურა მრისხანე პარტიზანის სახელწოდებაო, მაგრამ მაუზერმომარჯვებული ბერეჟიანი უმალ ჰფანტავდა დაეჭვების ბურუსს.

მძიმედ ჩაიარა სარდიონის თვალწინ შორეულმა წარსულმა და უნებლიეთ პრიალა ტუფლებზე დაიხედა. ფეხის დანადგამ ლაქას ალმაცერად დახედა და მწარედ გაიღიმა. „გაწმენდილი ტუფლები... კოხტად გაუთოებული კოსტუმი... სუფთად მოპარსული პირსახე და ოდეკოლონით დანაშხეფი თმები. ჰაი, დედასა. რა დრო იყო?!“

ზარის ხანგრძლივი წკრიალი გაისმა.

— იწყება! — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

სარდიონ გამოერკვა. ესტრადას შეხედა. ახდილი ფარდა რომ ღაინახა, თვითონაც იქითკენ გაეშურა.

პოეტების საღამო იწყებოდა. სარდიონ პარტერში შევიდა. უამრავი ხალხი ესწრებოდა საღამოს. წინა რიგებში ქალები სჭარბობდენ. აქა-იქ ისმოდა თავშეუკავებელი ჭირქილი და ზოგჯერ მხიარული სიცილ-ხარხარი. ზოგი ნერვიულობდა საღამოს დაწყების მოლოდინში. ზოგი მშვიდათ იჯდა და საღამოს გაზეთს გულგრილად ათვალიერებდა.

სცენაზე კონფერანსიე გამოჩნდა.

შეიშმუშნა აუდიტორია, ჩურჩულმა იმატა.

— ეშველა! — ბრაზით წამოისროლა ვიღამაც.

— ლექსს წაიკითხავს პოეტი...

— ვინ წაიკითხავსო? — შეწრიალდა ტუჩებშეღებილი ქალი. ჩანთა გახსნა და სარკეში, ვინ იცის, მერამდენჯერ ჩაიხედა.

გამოჩნდა პოეტი.

პარტერმა მხურვალე ტაში შეაგება. ეშხში შესული პოეტი გარინდული გადაჰყურებდა ამოძრავებულ აუდიტორიას. ნაზობდა და განგებ აგვიანებდა ხმის ამოღებას.

დაცხრა ტაშისცემა.

— რა კარგი ხარ! — გამოაცხადა პოეტმა წასაკითხავ ლექსის სათაური, კვლავ ამოძრავდა დამსწრეთა ხელები. კვლავ აქუხდა შეწყობილი ტაში.

სარდიონი გაილურსა. სავარძლის საწელურს ისე მაგრად მიებჯინა, გეგონებოდათ, მისაყრდნობი უნდა გაანგრიოსო. რაღაც მოუსვენრობა დაეტყო ბერეჟიანს. პაპიროსის წევას მოუჩქარა. მართალია, ესტრადის წინ იჯდა ბერეჟიანი, პოეტების საღამოს ესწრებოდა, მაგრამ ფიქრები სადღაც შორს მიაქანებდენ მის გონებას... შორეულ წარსულს უახლოვდებოდენ.

კვლავ დაცხრა ტაშისცემა. პოეტმა ჩაახველა და ის იყო ბაგე გახსნა ხმის ამოსაღებად, რომ „ალი-ბაბაო“ წამოიძახეს უკანა რიგებიდან. ხალხში თავშეუკავებელი სიცილი ატყდა. ის იყო ესტრადის მუდმივი უფასო მაყურებელი, რომელმაც ზეპირად იცოდა სეზონის რეპერტუარი. ისიც კარგად იცოდა „ალი ბაბა“, აუდიტორიის წინ მდგომი პოეტის კალამს რომ არ ეკუთვნოდა, მაგრამ წამოძახილი, მისი აზრით, აუცილებელი იყო. სხვა დროს, იქნება სტვენითაც კი შეხვედროდა ის პოეტის გამოსვლას, მაგრამ დღეს თავი შეიკავა და კენტი წამოძახილით დაკმაყოფილდა.

— სიჩუმე! — დაირხა ხმები წინა რიგებიდან. ზოგიერთმა პროტესტის ნიშნად უკან მოიხედა.

„რა კარგი ხარ, რა კარგი.

„კოხტა, ნაზი, მჩქეფარე.

„მე რომ მოვკვდე, გენაცვა,

„ძეგლად გადამეფარე“... — რხევით დაიწყო პოეტმა და თვალები ისე მინაბა, გეგონებოდათ, ეს არის—მიელულებაო.

სარდიონ შეინძრა. მწარე ღიმილმა გადაირბინა შენაკრთომ პირსახეზე, „რა კარგი ხარ“ — გაუელვა სარდიონს მახსოვრობის რომელიღაც კუნჭულში და უცებ ძოგონებათა მორევში შეცურდა.

ეს იყო ომის დაწყებამდე. გიმნაზიის მეშვიდე კლასში იჯდა მაშინ ბერეჟიანი. ულვაშები ის იყო, სწორედ იმ დროს ეღინღლებოდა. აბაშიძის ქალი მოსწონდა სარდიონს. სიყვარულს ეფიცებოდა. ეფიცებოდა, მაგრამ შესაფერ სამიჯნურო სიტყვებს ვერასდროს ვერ პოულობდა მოხეთქილ გრძნობების გამოსახატავად. წერილებს ხშირად სწერდა შეყვარებულს, მაგრამ ლექსის შეთხზვას ვერ ახერხებდა. ულექსოდ კი—აბა, რომელი ქალის გულს მოიგებდა ბერეჟიანი?! ამ ყოფაში რომ იყო, სწორედ ეს ლექსი იპოვა დაბეჭდილი, რომელიღაც გაზეთის ლიტერატურულ დამატებაში და სიხარულით თავბრუ დაესხა. საჩქაროდ რამდენიმე ტაეპი ამოსწერა და აბაშიძის ქალს გაუგზავნა, როგორც საკუთარი შემოქმედება. პასუხად ქალმა ამავე ლექსის გაგრძელება გამოუგზავნა და ის იყო, თავზარდაცემულმა სარდიონმა თავისი გაჩენის დღე დასწყევლა, მიჯნურს სამუდამოდ ჩამოშორდა და ქუთაისიდან სადღაც გადაიკარგა, ან კი რა პირით უნდა შეხვედროდა თავის სანეტაროს ლექსების ქურდი ვაჟკაცი... ცხენის ქურდი მაინც ყოფილიყო.

პოეტმა ლექსის კითხვა დაასრულა. იგრიალა ტაშმა და თავდავიწყებამდე მისულმა პარტერმა ამოძრავებულ ხელების შეჩერება ველარ მოახერხა. სამჯერ გამოიძახეს პოეტი სცენაზე. განუწყვეტელი ოვაციებით თავბრუ დაახვიეს. ტაში მაინც არ ცხრებოდა. ბოლოს პოეტმაც გაიდგა ფეხი და კულისებიდან ბიჯი არ გადადგა. წარმატების ჯილდოდ ეგეც საკმარისი იყო.

სარდიონმა სხვების მიბაძვით ერთი ორჯერ შემოჰკრა ტაში, თავი ჩაქინდრა და კვლავ ფიქრებში გადაიკარგა.

— პოეტი... — აცნობა აუდიტორიას მხიარულმა კონფერანსიემ.

— ვინაო? ვერ გავიგონე... ღმერთო, ეს როგორი კონფერანსიე აუყვანიათ. „ужас, какой то“..

— გამოვა და იცნობთ, ქალბატონო,— ვიღაც შეესიტყვა აღელვებულ მაყურებელს.

— გაზაფხულის თქეში.

— თქეში კი არა, ნიაღვარი!.. აიბზუა ტუჩი ბერეჟიანმა.

აუდიტორია ხმაგაკმედილი უსმენდა თვალტანად პოეტს.

სარდიონს ძილი მოერია. სავარძელს მკვიდრად მიეყრდნო და სირცხვილი, თორემ თვალების დახუჭვას აღარაფერი ერჩია.

ისევ ტაშის ხათქა-ხუთქმა და წრიპინა გამოძახილებმა დაარღვიეს სარდიონის მყუდროება.

— მუხამბაზი! — ისმოდა სცენიდან და ექსტაზში მოსული აუდიტორია აღტკინების საზღვარს შორდებოდა.

— სადა ვარ, სად! — ბრაზით აბურტყუნდა სარდიონი. მეზობლებს ზაზღნარევი ღიმილით გადახედა.

— მუზეუმი, მუზა და მუმია! — ისმოდა ესტრადიდან. აუდიტორიის აღტაცებამ და პარტერის გულთბილმა ტაშმა, შესაფერი გამოძახილი ჰპოვა პოეტშიაც. ესტრადა სანტიმენტალური ლირიკის ტრიბუნად გადაიქცა.

— ვამთავრებთ პირველ განყოფილებას. ლექსს წაიკითხავს...

კულისებში ჩოჩქოლი ატყდა. დეკორაციის ფანჯრიდან თავი გადმოჰყო ვიღაც მოქალაქემ და კონფერანსიეს თითი დაუქნია.

— დახურეთ ფარდა!

— შეწყვიტეთ საღამო! — ცხარობდა ვიღაც კულისებში.

განცვიფრებული კონფერანსიე უკან გატრიალდა. ფარდაც ჩამოუშვეს.

— რა მოხდა?

— რატომ შესწყვიტეს?

— წაიჩხუბენ!

სარდიონმა ყურები ცქვიტა. აჩოჩქოლებულ ხალხს წაუყურადა. ამ დროს რადიოც ახროტინდა.

— ისმინეთ, ისმინეთ, ისმინეთ! — ხრიალებს მიკროფონი და შეწრიალებულ ხალხს მოთმინება აღარ ყოფნის.

— იწყება მფრინავი მიტინგები... მობილიზაცია.

— რაო?

— მობილიზაცია?!

— ომი დაიწყო თუ?!.

— ხალხი ფეხზე წამოიშალა, უცნობნი თუ ნაცნობნი ერთმანეთს ეკითხებიან... ფერწასულნი ერთ ადგილას ვერ გაჩერებულან. ვერ გაუგიათ რა მოხდა. რატომ შეაჩერეს წარმოდგენა. თვალი ესტრადისაკენ უჭირავთ. მოელიან ახსნა-განმარტებას.

მოგვიანებით ფარდაც ასწიეს და სცენის სიღრმეში სამხედრო პირი გაიბიჯგა.

— ამხანაგებო! — დინჯად დაიწყო მან, — გვატყობინებენ, რომ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს თავს დაესხენ იმპერიალისტური ყაჩაღები... თოფი უკვე გავარდა და სამკვდრო-სასიცოცხლო ომს პირისპირ შევცქერით.

აქა-იქ ამოიოხრეს. მოულოდნელ ცნობას ერთგვარი გულისტკივილით შეხვდენ.—ჩვენ დავარტყამთ იმპერიალისტურ კაციჭამიებს—განაგრძობდა სამხედრო პირი,—და ისე მაგრად დავარტყამთ, რომ დედამიწის ხუთი მეექვსედი შეზანზარდეს.

უკანა რიგებში ტაში შემოჰკრეს. ჩქარა ტაში პარტერსაც გადაედო და სამშობლოს თავდაცვის გამოძახილი დაუცხრომელ ქუხილად გადაიქცა.

— დღემდე ჩვენ მშვიდობიან პოლიტიკას ვაწარმოებდით, ვამაგრებდით ჩვენი ქვეყნის მშენებლობის თვალუწვდენელ ფრონტს... დღეს ამხ. მაიაკოვსკის თქმის არ იყოს „სიტყვა ეძლევა ამხანაგ მაუზერს“—დაასრულა სიტყვა

(გაგრძელება მეოთხე გვერდზე)



ნახატი ს. კეცხოველისა

საზოგადოებრივი აზრის ისტორიისთვის

1. ერთი ლეგენდა

(ლევან ასათიანი—„ვოლტერიანობა საქართველოში“)

იმ მასალის მიხედვით, რომელიც გამოყენებული აქვს დღეს-დღეობით ჩვენ საისტორიო მეცნიერებას, **ვოლტერიანობა საქართველოში, უნდა ჩაითვალოს ლეგენდათ.** საქმე ხომ იმაში არაა მარტო, რომ ესა თუ ის თავადი ან ბატონიშვილი იცნობდა ვოლტერის იდეებს და იმეორებდა მათ თავის ნაწერებში, თარგმნებში. ევროპაში ვოლტერიანობა იყო სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის იარაღი. საქართველოში ის არავის არ გამოუყენებია ასეთ იარაღად.

ავიღოთ მაგალითისთვის ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი, რომელსაც ავტორი იხსენიებს პირველ რიგში. ის ყოფილა „პირველი ქართველი მწერალი, რომელიც ეზიარა დასავლეთის განმანათლებელთა იდეებს“, და...„მდგარა ეპოქის მეცნიერულ და კულტურულ დონის სიმაღლეზე“.

ეს ალექსანდრე ამილახვარი „სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ებრძოდა ერეკლეს, აბამდა მის წინააღმდეგ პოლიტიკური ინტრიგის ქსელს, სწერდა პამფლეტებს, აწყობდა შეთქმულებებს და მოკვდა რუსეთში გადახვეწილ ემიგრანტად, როგორც ერეკლეს დაუძინებელი და მოსისხლე მტერი“ (53). მკითხველი იფიქრებს,—ერეკლე იყო მეფე, და ალექსანდრე ამილახვარი იმის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმოადგენდა ეპოქის მოწინავე იდეებს. ავტორი იძლევა, სამწუხაროდ, საფუძველს ასეთი გაუბრალოებული დასკვნისთვის. ვიტყვით, თუ გნებავთ, სხვანაირად და უფრო შერბილებულად: წიგნაკში არ არის მოცემული საკმაო მასალა იმისთვის, რომ ასე არ იქნეს გაგებული ალექსანდრე ამილახვრის დაუძინებელი და მოსისხლე მტრობა.

მამამისი დიმიტრი ამილახვარი „ორგულობისა და პოლიტიკური ინტრიგებისათვის ერეკლე მეფეს ოჯახიანად შეუპყრია...“

საინტერესოა სოციალური სარჩული ამ ორგულობისა და პოლიტიკური ინტრიგებისა. ავტორი ამბობს მხოლოდ, რომ იყო საუკუნოებრივი ბრძოლა „ქართველ ფეოდალიზმსა და აბსოლუტიზმს შორის“ (55).

ეს არ არის სწორი. ასე დაპირდაპირება აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის იმ ხანისთვის არ შეიძლება. აბსოლუტიზმი იყო პოლიტიკურ სახელმწიფოებრივი ფორმა გაერთიანებულ ფეოდალიზმისა. ამის წინააღმდეგ იდგა თავთავისთვის დაცალკევებული საუფლისწულო ფეოდალობა.

ფეოდალობა ებრძოდა ფეოდალიზმს, და არა ფეოდალიზმი აბსოლუტიზმს. ა მ ი ლ ა ხ ვ რ ე ბ ი, ე რ ი ს თ ა ვ ე ბ ი, გ უ რ ი ე ლ - დ ა დ ი ა ნ ე ბ ი იდგენ თავთავიანთ მამულის სადარაჯოზე, ერჩიათ შეუზღუდავი ბატონობა დამოუკიდებელ კუთხის—სამთავროს ფარგლებში, ცნობდენ მხოლოდ საგვარეულო, კუთხობრივ აბსოლუტიზმს და არ უნდოდათ მთლიანი სახელმწიფოებრიობა, არ უნდოდათ ერთმეფობის აბსოლუტიზმი არც ფეოდალიზმის საფუძველზე.

ბარიკადების აქეთ-იქით იდგა ორი ძალა, ორი იდეა. აქეთ საქართველოს დანაწილება, იქით საქართველოს გაერთიანება. დანაწილების გზით მოსალოდნელი იყო, საბოლოო ანგარიშში, იგივე, რაც ისტორიამ არგო აზიის აუარებელ, დიდი ხნის უკვე დასაფლავებულ დიდ და პატარა ერებს. გაერთიანება კი გამოსავალ წერტილად გაუხდებოდა ეკონომიურ განვითარებას, ეროვნული არსებობის შენარჩუნებას.

დანაწილებას ხელს უწყობდენ სპარსეთი, ოსმალეთი, ლეკები გარედან და კუთხობრივი სამოქალაქო ომები შიგნიდან. ერეკლე მეფე ებრძოდა სპარსელებს, ოსმალებს, ლეკებს, ებრძოდა იმ სამოქალაქო-საომარ მდგომარეობას, რომელსაც დავ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ მ ა დაარქვა „შინათ აშლა“. ერეკლემ გამოიჩინა მეტი გმირობა, მეტი თანმიმდევრობითი გამბედაობა პირველ ფრონტზე, ვიდრე მეორეზე, მაგრამ მისი იდეა იყო მაინც საქართველოს გაერთიანება.

ამ იდეას ებრძოდენ საუფლისწულო თავადები. ამ ინტრიგებში ე რ ე კ ლ ე ს წინააღმდეგ ისინი იშველიებდენ ხოლმე სპარს-ოსმალებს, ლეკებს. „შინათ აშლას“ საქართველოში იყენებდა, ალბათ, ტ ო ტ ლ ე ბ ე ნ ი, როცა აპირებდა ერეკლეს ჩამოგდებას, და არის საისტორიო მასალებში მითითება იმ ფაქტზედაც, რომ კუთხობრივი თავადები უკავშირდებოდენ თავის დროზე აღამაჰმადხანს.

ერთი სიტყვით, საქართველოს ბედიდბლისთვის მათი ძუშაობა იყო რეაქციული და რეაქციის დროშა ეკავა ხელში ალექსანდრე ამილახვარსაც. ის ეხმარებოდა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბ ა ქ ა რ ი ს ძ ე ს, რომელიც ცდილობდა სპარსეთის დახმარებით ქართლის ტახტი წაერთმია ერეკლესთვის. ეს იყო მუშაობა საქართველოს დანაწილების ხაზით, და ალექსანდრე ამილახვარს აქ არაფერი არ ჰქონდა საერთო ევროპის მოწინავე იდეებთან.

ისტორიულ პროცესში ერთი მოვლენა ფასდება მეორესთან შედარებით-შეფარდებით. დანაწილების ფაქტორებთან ბრძოლაში ერეკლეს როლი იყო პროგრესიული. ამ ბრძოლით შორდებოდა ის ძველ ეპოქას. მერე უნდოდა მტკიცე, გაერთიანებულ ფეოდალიზმის საფუძველზე აგებული აბსოლუტურ მონარქიული საქართველო შეეხვედრებინ ახალი ეპოქისთვის, როგორც დაუძლეველი ციხე-სიმაგრე, და აქ ევროპის მოწინავე იდეებს უნდა დამართოდათ იგივე, რაც, პ უ შ კ ი ნ ი ს გამოთქმით, ემართებოდა თერგს თავის კლდიან ნაპირებში:

И бьется о берег в вражде бесполезной
И лижет утесы голодной волной..
Вотще! нет ни пищи ему, ни отрады...
Теснят его грозно немые громады...

(„Кавказ“)

ასე ესახებოდა მომავალში ერეკლეს ევროპასთან დამოკიდებულება საქართველოსი, და მისი სახელმწიფოებრივი იდეალი ჰკარგავდა პროგრესიულობის ნიშნებს. ახალ ეპოქასთან შეხვედრაზე თანდათან იკვეთებოდა კონსერვატორულ-რეაქციული სახე ერეკლე მეფისა.

მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია, ეს არ შედის ამ წერილის ფარგლებში.

სხვა დროს მომიხდება აგრეთვე შეჩერება მეორე „ვოლტერიანელზე“ — დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ზ ე, რომელსაც გადიდებული სათვალით უყურებს დასახელებულ წიგნაკის ავტორი. „ფხიზელი და მარჯვე სიტყვითა და საქმითა“—სწორედ ეს არ ითქმის დავით ბატონიშვილზე, მეტადრე, იმ მომენტისთვის, როცა იჭრებოდა საქართველოს ბედიღბლის საკითხი. მაშინ ის იყო ყველაზე უფრო მკრთალი პიროვნება. მარხვის შეუნახავობით, სარწმუნოებრივი გულ-გრილობით და ვოლტერის სურათის ჩამოკიდებით არავითარი გავლენა არ დაუმჩნევია ჩვენი ისტორიული პროცესისთვის. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობაც მოითხოვს მეტი დაკვირვებით გარჩევას, ვიდრე ითქმებოდეს ავტორთან ერთად, რომ ესაა „ერთი საინტერესო დასაწყის ფურცელთაგანი დასავლეთ ევროპულ იდეების გავლენათა ისტორიიდან ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში“ (76).

საქართველოში არ იყო იმ დროს ისეთი სოციალური წრე—კლასი, რომელიც შეიძლებდა ევროპულ მოწინავე იდეების ათვისებას და ცოცხალ საქმედ გადაქცევას. საუფლისწულო თავადებს და ბატონიშვილებს ამ იდეებით გატაცება შეშვენოდა ისე, როგორც სხვის ტანზე შეკერილი სერთუკი. ეს იყო გარეგანი მიმბაძველობა, ე. წ. მოდა, ადვილათ ჩასაცმელ-გასახდელი ტანისამოსი. საგარეო მოწინავეობა რაღაც წინააღმდეგობით უთავსდებოდა საშინაო რეაქციონერობას, როგორიც გამოიჩინა ალექსანდრე ამილახვარმა, და უბადრუკობას, რომელიც თან ახლდა ბოლო წლებში დავ. ბატონიშვილს.

სეით დევდარიანი

საბრძოლო მზადყოფნის ლიტერატურა

წითელ არმიაში ფართო ლიტერატურული მუშაობის გაშლისათვის უდიდესი შესაძლებლობანი არსებობენ. მეთაურთა და წითელარმიელთა შორის ლიტერატურისადმი დიდი ინტერესის გამოწვევა შეიძლება. უმრავი მასალა შემოდის რედაქციაში წითელ არმიელებისაგან, გამოთქვამენ თავიანთ აზრს ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოების შესახებ, მოითხოვენ დახმარებას ლიტერატურულ საკითხების გარკვევაში და სხვა.

საჭიროა კონკრეტული ხელმძღვანელობის გაწევა, ყოველდღიური დახმარება.

მწერალთა საბჭოსთან არსებულ სამხედრო სექციას კი დღემდე საგულისხმო არაფერი გაუკეთებია. ჯარში არსებული ლიტწრეები, წითელი არმიის ძირეულ პრესის მუშაობა, ლიტფურცლების გამოშვების საქმე — ამ სექციის ყოველგვარ ხელმძღვანელობის გარეშე მიმდინარეობდა. ამ სექციის უმოქმედობით შეიქმნა ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური დამოკიდებულება არმიელთა შორის ლიტმუშაობის საკითხებისადმი.

სწორედ დროულად დაისვა საკითხი მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის ამ უკანასკნელად გამართულ გაფართოებულ სხდომაზე სამხედრო სექციის გადახალისების შესახებ.

სექცია უნდა გადახალისდეს.

ამავე სექციამ უნდა უხელმძღვანელოს თავდაცვითი მხატვრული ლიტერატურის ქართულ ენაზე შექმნას.

„ჩვენ გვინდა თავდაცვითი მხატვრული ლიტერატურა“, გვწერს სამხედრო სკოლის კურსანტი ვ ა ს ო მ გ ე ლ ა ძ ე. თანაც მოითხოვს, რათა მწერალთა კავშირმა მოწინავე მწერლები ჩააბას ამ საქმეში.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა მიავლინა ზოზიერთი მწერლები წითელ ჯარის ნაწილების ყოფის გასაცნობად, მებრძოლ ადამიანების შესასწავლად, რის შემდეგაც თითოეულ მათგანს უნდა მოეცა ნაწარმოები არმიის ცხოვრებიდან. მაგრამ ამას წინედ გამართულ პრეზიდიუმის სხდომაზე გამოირკვა, რომ მივლინებულთა უმრავლესობა „ექსკურსანტების“ როლში ევლინებოდა ჯარის ნაწილებს და აბა რა უნდა დაეწერათ, რა შემოქმედებითი ნიმუშები უნდა მოეცათ მათ თავდაცვითი მხატვრულ ლიტერატურის საგანძურისათვის.

მწერალთა საბჭოს სამდივნომ და „ლიტგაზეთმაც“ უნდა გააძლიეროს „შესრულების კონტროლი“.

ორატორმა და სარდიონს ნელთბილმა ჟრუანტელმა, თხემით ტერფამდე დაურბინა.

„სიტყვა ეძლევა ამხანაგ მაუზერს“—სიზმარ-ცხადში გაიმეორა ბერეჟიანმა და ხელი მარჯვენა თეძოზე იტაცა.

— ჩემი მაუზერი!—შენაკრთოლებ კილოზე შეეკითხა სარდიონ თავის თავს. ხელი ააფათურა, მაგრამ მაუზერის ნაცვლად თეძოს ძვლის ტაბუხი, რომ მოხვდა ხელში, მწარედ დაღონდა.

„ჩემი მაუზერი“—ესღა შეაკვდა სარდიონს ენაზე და მეხდაკრულივით გაქვავდა. სარდიონის მაუზერი საწერი მაგიდის ყუთში ეგდო ამჟამად. ნაცად პარტიზანს სწორედ ეს უჭეჭკავდა გულს და უკვირდა კიდეც: როგორ მოხდა, რომ ძმადნაფიც მაუზერს ასე ადვილად გაეყარა სამოქალაქო ომის არწივი...

სარდიონს ბოღმა შემოეხვია.

— განვაგრძობთ საღამოს.—გამოაცხადა კომფერანსიემ.

ხალხი შედგა. შეკრთოლების ტალღამ გადაიარა, პარტერში რამდენიმე სკამი დაცარიელდა, მაგრამ ჩქარა უკანა რიგებში ფეხზე მდგომმა ახალგაზრდებმა დაიკავეს ეს ადგილებიც და სიწყნარე ჩამოვარდა.

— განვაგრძობთ საღამოს. — კვლავ გაიმეორა კონფერანსიემ.

— მუხამბაზები აღარ იყოს, აი!—გაფრთხილების ნიშნად წამოიძახეს ზოგიერთებმა.

კონფერანსიემ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია...

მსახიობი ვაჩნაძე წაიკითხავს მაიაკოვსკის ცნობილ ლექსს: „მარში მარცხნივ“. მქუხარე ტაში დიდხანს არ ცხრებოდა. ახლა ახალგაზრდობა იყო ტაშის ინიციატორი.

მსახიობმა შეიფერა მაიაკოვსკის პატივსაცემლად აქუხებული ოვაციები. სარდიონ გარინდული ისმენდა რევოლუციის აგიტატორის მებრძოლ სტრიქონებს. ის კვლავ აინთო მაუზერის ხელახლა ხსენებაზე. საღამო მიატოვა და შინისაკენ დაიძრა.

მან მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ ამდენი ხანია უიარაღოდ დადიოდა ქალაქში და ერთხელაც არ შეუმჩნევია, რომ ქამარს მაუზერი აღარ უმძიმებდა.

ხეივანი გადაყელა ბერეჟიანმა და ჩქარა ქუჩაში გაჩნდა. საოფიშო სვეტებზე, ომის პლაკატებს და სამობილიზაციო ბრძანებებს აკრავდენ.

— ასე უცებ...—გაიოცა ბერეჟიანმა და ნაბიჯს მოუჩქარა.



ნახატი ს. კეცხოველისა

პროსპექტი დაცარიელებულია. მოსახვევში მილიციელები სტვენენ და მოქალაქეებს აფრთხილებენ, პროსპექტზე მოძრაობა შეწყვეტილიაო.

მხარმარჯვნივ ხმაურობამ იმატა. გამოჩნდა ტანკების მწკრივი. ჯავშნიანი ავტომობილები... ჩაიარა სამთო ბატარია, მას მიჰყვა მძიმე არტილერია... სულ უკან საზენიტო არტილერია.

სარდიონ დგას და თვალებს არ უჯერის. „ასე ჩქარა... ასე უცებ“... ბუტბუტებს თავისთვის და სალაშქროდ გამზადებულ ჯარს თვალს ვერ აშორებს.

ჩაიარა ქვეითმა დივიზიამ... კავალერიამ... მესანგრეთა ბრიგადამ... საძნეო ნაწილებმა. ჰაერი მოულოდნელი გუგუნით შეირხა.

ბერეჟიანმა თავი ასწია. თვითმფრინავთა გუნდი დარაზმულა, მწყობრად, წეროებივით შეწყობილათ.

Смело мы в бой пойдем
За власть Советов, мы как один умрем—სჭექეს პროსპექტზე და ქვეითმა ჯარმა სადგურისაკენ იბრუნა პირი.

პროსპექტი პრიალა ხიშტების ბუჩქნარად გადაიქცა. სარდიონ შინისაკენ გაეშურა. სულმოუთქმელად შეირბინა ბინაში და პირდაპირ საწერ მაგიდას დააცხრა თავზე.

„ჩემო მაუზერ“—მიუალერსა ბერეჟიანმა ძმადნაფიც მაუზერს და ტუჩი დაუკოცნა. ცივი იყო მაუზერის ტუჩი, სუსხიანი.

სარდიონმა ხელების ცახცახით წაღმაუკუღმა შეატრიალა მაუზერი: ძვეღებურად ელავდა მრავალ ჯანდარაში გამოვლილი სარდიონის ძმადნაფიცი მაუზერი.

— აბა, ჩემო სიყრმის მეგობარო დადგა დრო შენი ამეტყველებისა და რაღა „შავწვერა“ ბერეჟიანი ვარ თუ კვლავ გახურებული ტუჩი არ დაგიკოცნე. სარდიონმა ტანთ გამოიცვალა. სალაშქროდ აღჭურვილი გაეშურა შტაბში.

— შტაბში სიცილით შეხვდენ ბერეჟიანს. მხრებზე ხელი დაჰკრეს.

„ყოჩაღ, პარტიზანო! ჩვენც გვჯეროდა, რომ სამოქალაქო ომის არწივები პირველსავე დაძახილზე გაჩნდებოდენ სადარაჯოზე, მაგრამ...

— შტაბელებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მაგრამ რა, ამხანაგო სარდალო!—წყენით მიმართა სარდიონმა ჯარის სარდალს.

— არაფერი, ამხანაგო სარდიონ. ჩვენ ჯერ მარქაფი ძალები არ გაგვიწვევია...

— ომი ხომ დაიწყო?—კუშტად მოუჭრა ბერეჟიანმა.

— საცდელი ომი, მართალია, უკვე დაიწყო... ნამდვილი ომი... კი... სარდალმა გაიღიმა, გაეცინა ბერეჟიანსაც..

„უკანასკნელი მასკარადი“

დ. ხინთიბიძე

მ. ჭიაურელის ახალი მხატვრული მოლაპარაკე ფილმი „უკანასკნელი მასკარადი“ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს: იგი სხვადასხვანაირად შეფასდა მოსკოვისა და ლენინგრადის კინემატოგრაფისტთა მიერ. გაზეთ „კინოში“ პრინციპულად მოწინააღმდეგე რეცენზიებია მოთავსებული. გაზ. „საბჭოთა ხელოვნებაშიც“ დაიბეჭდა ვრცელი წერილი და მიუხედავად ამისა, ჩვენ ზედმეტად არ მიგვაჩნია კიდევ განვიხილოთ ეს სურათი.

„უკანასკნელი მასკარადი“ მრავალმხრივაა საინტერესო. ჯერ ერთი, იგი საქ. სახკინმრეწვის პირველი ხმოვანი ფილმია ადგილობრივ ხმოვან ტექნიკურ ბაზაზე და საკუთარი შემოქმედებითი კადრებით გაკეთებული, მეორეც—სურათი ითვლებოდა სახკინმრეწვის 1933/34 წ. წ. წარმოებაში მყოფ სურათთა შორის წამყვან ფილმად, ამიტომ მისი სპეციალური ანალიზი სარგებლობას მოუტანს როგორც კინო-საზოგადოებრიობას, ისე თვით სურათის ავტორთ—შემდგომ შემოქმედებითს მუშაობაში.

ხელოვნების განვითარებაში ხმოვანი კინო წარმოადგენს უფრო მაღალ საფეხურს თავის შესაძლებლობით, ვიდრე თეატრი, ოპერა ან მუნჯი კინო. აქ სინთეზური ხელოვნების მიღწევის ცდაა, რაც მოითხოვს ხელოვნების ყველა ძირითად დარგების (თეატრის, მუსიკის, კინოს) ჰარმონიულ თანამშრომლობას. მაგრამ, ხმოვანი კინო, იმყოფება რა განვითარების დასაწყისს სტადიაში, განიცდის დიდ წინააღმდეგობებს... ზოგიერთ სურათში სიტყვის როლი განისაზღვრება მხოლოდ წარწერების შეცვლით: ვერაა დაუფლებული სიტყვის მუსიკალური, ინტონაციური და ხმოვანი მხარეები, ე. ი. არ არის გამოყენებული დრამატული დიალოგი, როგორც დრამის ერთი არსებითი ელემენტთაგანი, რომელმაც ხმოვან კინოში დიდი როლი უნდა ითამაშოს.

მეორე მხრივ ხმოვან კინოში მუსიკის როლი რომელიც უნდა შეიცავდეს ფილმის ორგანულ ელემენტს, ავსებდეს და აძლიერებდეს კინოკადრის ემოციურ ზეგავლენას—ზოგიერთ სურათში დაყვანილია მხოლოდ მშრალ ილუსტრაციამდე.

საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფიის ისტორიაში ხმოვან კინოს უკვე თვალსაჩინო ადგილი უკავია. ჩვენმა შემოქმედებითმა კინომუშაკებმა მოგვცეს მთელი რიგი მხატვრულ-იდეურად ძლიერი და ტექნიკურად საუკეთესოდ გაკეთებული ფილმები. („გზა ცხოვრებისაკენ“, „შემხვედრი“, „ჭექა-ქუხილი“, „განაპირა“, „კოლიელები“ და რეჟ. ძიგა ვერტოვის „სამი სიმღერა ლენინზე“).

საქ. სახკინმრეწვიც, თუმცა ძლიერ დაგვიანებით (საკუთარი ხმოვან ტექნიკურ ბაზის დროზე უქონლობის გამო) დაეუფლა ხმოვან კინოს ტექნიკას და მხოლოდ წელს შესაძლებელი გახდა ხმოვანი სურათები: „უკანასკნელი მასკარადის“, „არშაულას“—(რეჟ. რონდელი) და გახმოვანებულ „ელისოს“ (რეჟ. ნ. შენგელაია) დამზადება—(ორი უკანასკნელი მოკლე ხანში გამოვა). საქ. სახკინმრეწვის პირველი სურათი „როტე ფანე“ გახმოვანებული იყო ლენინგრადის კ-ფაბრიკაში რეჟ. ლ. ესაკიას მიერ, ასე რომ ამ მხრივ პირველი ნაბიჯი რეჟ. ლ. ესაკიას ეკუთვნის.

„უკანასკნელი მასკარადის“ ავტორ-რეჟისორს მიზნად დაუსახავს გვაჩვენოს ქართველი ბოლშევიკის ბიოგრაფია მჭიდროდ დაკავშირებული 1913—21 წ. წ. მანძილზე მომხდარ სოციალურ-პოლიტიკურ ძვრებთან, ორი კონკრეტული კლასობრივად მოწინააღმდეგე ოჯახის დაპირისპირების ფონზე.

ორი მოპირდაპირე ოჯახის ერთმანეთისადმი დაპირისპირებით რეჟისორს სურათისათვის სიუჟეტურად ძლიერი ხაზის მიცემა სურდა. ამით უნდოდა მას აეცდინა ის დიდი წინააღმდეგობანი, რომლებითაც ხასიათდება ატრაქციონალური ხერხებით გაკეთებული ფილმი. მაგრამ ავტორმა ვერ შესძლო შეექმნა ფილმისათვის ძლიერი ფაბულა. ეს დიდი ნაკლი ძირითადად აიხსნება სცენარის დრამატურგიული სისუსტით. ის ფაბულარულად არ წარმოადგენს მთლიან ნაწარმოებს, სუსტია სიუჟეტურ-დრამატურგიულად, ამიტომაც (ალკეული ეპიზოდები და კადრები, სტატიკური თუ დინამიკური, გაკეთებული მხატვრული გემოვნებით და დიდი ოსტატობით (მსგავსად ჭიაურელისავე „ხაბარდასი“ და პუდოვკინის „ძლიერ კარგად ცხოვრობს“) არ არიან ორგანულ კავშირში სხვა კადრებთან, რაც ხელს უშლის მაყურებელს მთლიან შთაბეჭდილების მიღებაში. სურათის ფაბულურ-სიუჟეტური სისუსტის დაძლევა შეიძლებოდა მთელი რიგი კინემატოგრაფიულ-მონტაჟურ ხერხებით (ასოციაციური, პარალელური მონტაჟი და სხვა), რომლის სწორ და კარგ გამოყენებას მიეწერება ისეთი არა-ფაბულურ სურათების გამარჯვება, როგორიცაა მაგ. ეიზენშტეინის „პოტიომკინი“, დ. გრიფიციტის „ინტოლერანს“, ბ. კეიტონის „სამი ეპოქა“ და ძიგა ვერტოვის „სამი სიმღერა ლენინზე“. როგორც აღვნიშნეთ, ამ სურათებში უდიდესი ოსტატობამდეა აყვანილი მონტაჟის ხელოვნება.

„უკანასკნელ მასკარადში“ მოცემულია სხვა და სხვა ეპოქის, წოდებათა და კლასთა წარმომადგენლები, რომლებიც ერთმანეთთან დრამატურგიულად სუსტად არიან დაკავშირებულნი, რის გამოც რჩება შთაბეჭდილება რამდენიმე, სრულიად დამოუკიდებელი ეპოქების მოცემისა, რომელთა ფონზე ვითარდება მოქმედება, და გმირებიც მოქმედებენ ურთიერთ შორის მტკიცე დამოკიდებულების გარეშე (ეპიზოდი სანგრებში, შეხვედრა მიტოსი და როსეგების და სხვა). არის რიგი სცენებისა, რომლებიც ყალბად და არა დამაჯერებლათაა გაკეთებული. მეფის საპყრობილე: მასში არ მოჩანს სისასტიკე თვითმპყრობელური რეჟიმისა. პარლამენტის ეპიზოდი: ტექნიკურად კარგადაა გაკეთებული, მაგრამ ზერელეა და უფრო სანახაობას შეიცავს, ვიდრე იდეურ სიკოტრისა და გამყიდველობის ღრმა გამომჟღავნებას.

ნიადაგმოუმზადებელია პირველ ნაწილში მეფის ჩინოვნიკის მოკვლა, რევოლუციონერ ტერორისტების მიერ. ძლიერ გულუბრყვილო და მექანიკური აქტია უკანასკნელ ნაწილში ფეოდალის მიერ მიწაზე მომუშავე გლეხის მოკვლა. მაყურებელი აშკარად გრძნობს, რომ რეჟისორს ეს მკვლელობა, დასჭირდა გლეხთა აჯანყებისათვის, რომელიც მაშინალურად მოჰყვა აღნიშნულ მკვლელობას, თუმცა აქვე აღსანიშნავია თვით აჯანყების მაღალი მხატვრული ოსტატობით გაკეთება.

უარყოფითად ჩაითვლება ანალოგიური კადრები სხვა სურათებიდან, როგორიცაა—სურათი „სიკვდილის კონვეერი“ (კინტო არღნით), „პოტიომკინი“ (ბაღში, კიბეზე, დახვრეტილნი), „ოქროს მთები (ბატონთან გლეხის მისვლა).

რაც შეეხება სურათის მუსიკალურ მხარეს, იგი ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე, საგრძნობია მუსიკის სიჭრელე, რომელიც მთელ რიგ ეპიზოდებში არ თანაუგრძნობს მოქმედების ვითარების შინაარსა და ხასიათს. გამონაკლისია მუსიკა „სამშობლოს“ გამოყენება და დოლენკოს მიერ ვირტუოზული ოსტატობით გაკეთებული პარლამენტისა და დახვრეტის კადრი-ლეკურის და ტყვიამფრქვევის მოქმედების პარალელური მონტაჟი. სურათში არ არის აგრეთვე ლეიტმოტივი, ასეთად შეიძლება ვიგულისხმოთ „სულიკო“, თუმცა მას სრულებით არაფერი აქვს საერთო სურათის ძირითად სიუჟეტურ ხაზსა და იდეასთან.

სურათში აღსანიშნავია მთელი რიგი ეპიზოდები, რომლებიც თავის ემოციალობით, მხატვრულ-კინემატოგრაფიულ ოსტატობით, დახვეწილი მონტაჟით, აშკარად ლაპარაკობენ რეჟ. ჭიაურელის შემოქმედებით შესაძლებლობებზე: ინტელიგენტ-ფეოდალთან დროსტარება მეფის ჩინოვნიკების მიერ—ლოტოს თამაში, მიტოს მამის დასასჯელად გაყვანის სცენა (სურათის ტექნიკური მიღწევაა: სცენის ზევიდან მოცემა). ასეთივეა ალექსანდრეს ბაღში დახვრეტის სცენა, რომელიც ვითარდება პარალელურად პარლამენტში გამართულ ლეკურის ცეკვასთან. ამ ეპიზოდში პარალელური მონტაჟი მოხერხებულად და კარგადაა გამოყენებული, რაიც აძლიერებს ეპიზოდის ემოციალობას. ძლიერ საინტერესო და მეტყველი კადრებია გლეხთა აჯანყების სცენაში, თუმცა აჯანყება არსებულ ხელისუფლების—მენშევიკების წინააღმდეგ, ვიწრო მასშტაბითაა მოცემული.

საერთოდ კი სურათ „საბას“, „ხაბარდას“ და „უკანასკნელ მასკარადის“ შემდეგ რეჟ. ჭიაურელის შემოქმედებითი თავისებურობა აშკარა ხდება: ჭიაურელი ოსტატია მელოდრამისა (ამ სიტყვის კარგი გაგებით), იგი ამასთანავე სატირიკოს-იუმორისტის ნიჭის პატრონია.

სუსტი სიუჟეტურობა არ ქმნის მსახიობთათვის არტისტულ შესაძლებლობათა გაშლის საშუალებას, რათა მათ შექმნან გარკვეული სახეები, ტიპები ტიპიურს მდგომარეობებში. მაგრამ მაინც აღსანიშნავია ნამდვილ კინემატოგრაფიულ მსახიობთა თამაში. მსახ. მ. გელოვანისა, რომელმაც შექმნა მეტად მეტყველი სახე როსეგისა და მსახ. კ. მიქაბერიძისა, რომელმაც როლის სქემატურობის მიუხედავად მკვეთრი მეტყველი სახე გამოკვეთა გალიფეის როლში. ხაზგასმით აღსანიშნავია ახალგაზრდა მსახიობ დ. წეროძეს გულწრფელი და დამაჯერებელი თამაში მოახლის ქალის როლში.

განსაკუთრებით უნდა ვთქვათ მსახიობ ნატა ვაჩნაძის შესახებ, იგი მონაწილეობს სურათის ბოლომდე, მაგრამ სათამაშო მას თითქმის არა აქვს რა, საჭიროა ამ ძვირფას ნატურის მქონე მსახიობის დროზე და სათანადოდ გამოყენება.

მთავარი როლის მიტოს შემსრულებელ მსახ. ს. ჯალიაშვილის თამაში თავიდან ბოლომდის არაბუნებრივი და არაგულწრფელია. მთელ რიგ სერიოზულ-დრამატიულ ეპიზოდებში იგი მიმართავს ტიტველ-პოზირობას, მოკლებულია სიმპატიას, რომლითაც აღფურვილი უნდა იყოს ახალგაზრდა მებრძოლი ბოლშევიკის სახე. საერთოდ აქ უარყოფით ტიპებთან შედარებით დადებითად მოცემული მოქმედი პირნი სქემატური და ნაკლებ დამაჯერებელი რიან (გამონაკლისს შეადგენს მაროს როლი).

ეპიზოდურ როლებში აღსანიშნავია დამსახურებულ მსახიობი კ. გამყრელიძე, შ. გედევანიშვილი, სატინა, ზარდიაშვილი, განსაკუთრებით ს. ყორეოლიანი და პოეტი გ. ქუჩიშვილი.

ოპერატ. ა. პოლიკევიჩის გადაღებული ფოტოგრაფია მთლიანია ბოლომდე. ფოტოგრაფის „სირბილესთან“ ერთად ის მკაფიო სტეროსკოპიულ - რელიეფურია, დიდ ტექნიკასთან ერთად ოპერატორ პოლიკევიჩს დიდი გემოვნება და კულტურა გააჩნია.

სურათზე მომუშავე მხატვარ სიდამონ-ერისთავს უთუოდ სერიოზული მუშაობა ჩაუტარებია—ეს აშკარად ჩანს რევოლუციონერ მუშათა უბნის დეკორაციებში „პარლამენტის“ - დარბაზი, ფრონტის ფონის და სხვათა გაკეთებაში. საერთოდ მხატვარ სიდამონ-ერისთავი მხატვართა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელნიც კინემატოგრაფიას მთელი თავის შემოქმედებითი სერიოზულობით ემსახურებიან, წინააღმდეგ მთელ რიგ მხატვარ „გასტროლერებისა“.

სურათი ტექნიკურ გახმოვანების მხრივ ძირითად სათანადო სიმაღლეზე დგას.

დასკვნა: ავტორ-რეჟისორ მ. ჭიაურელმა ვერ შესძლო განეხორციელებია სურათის ძირითადი მიზანი (ქართველი ბოლშევიკის ბიოგრაფიის ჩვენება). სუსტად, არადამაჯერებლადაა მოცემული რევოლუციონერ მუშის ზეკლის მიტოს პოლიტიკური ზრდა ბოლშევიზმის გზით.

სურათი მოკლებულია სიუჟეტურ - დრამატურგიულ სიძლიერეს, რაც არ აძლევს მსახიობთ გარკვეულ დამთავრებულ სახეების მოცემის შესაძლებლობას.

სიტყვის და მუსიკის მხატვრული გამოყენება დაბალ დონეზე დგას.

არ შეიძლება ითქვას, თითქოს სურათმა მთლიანად გაამართლა მასზე დამყარებული იმედები. ის ვერ წარმოადგენს ეპოქალური შინაარსით გაჟღენთილ მაღალ მხატვრულ ფილმს, ის ვერ დაიჭერს წამყვანი ფილმის ადგილს საბჭოთა კავშირში. ამ მხრივ ის მოგვაგონებს საბჭოთა კინემატოგრაფიის პირველ წლების ისტორიულ-რევოლუციურ შინაარსის, მთელ რიგ მხატვრულად სუსტად გაკეთებულ და მშრალი აგიტაციის ხასიათის ფილმებს.

აი, ეს ძირითადი უარყოფითი მხარეები სურათს არა საინტერესო საყურებლად ხდის. სურათის ამ აღსანიშნავ უარყოფითს მხარეებში ითქვიფება ზოგიერთი დიდი მხატვრულ ოსტატობით გაკეთებული ეპიზოდები და კადრები.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა ნაციონალურ თემატიკაზე.

„უკანასკნელი მასკარადი“ და „ელისო“ გაკეთებულია რუსულად. საჭიროა სახკინმრეწვის შემოქმედ მუშაკებმა „უარყონ ნაკლები წინააღმდეგობის გზა და ის ყალბი აზრი ხმოვანი კინოს შესახებ, რომ **თითქოს ხმოვანი კინო საავხებით მოკლებულია ინტერნაციონალურ შესაძლებლობას, რის გამო ხმოვანი სურათების შექმნა ნაციუმცირესობათა ენებზე მიზანშეუწონელია. თითქოს ეს არ აძლევს საშუალებას შემოქმედ—მხატვარს დიდ გასაქანს მხატვრულ ტილოების შესაქმნელად** და სხვა. ასეთ ყალბ შეხედულებებს ხმოვან კინოს ინტერნაციონალობის შესახებ ნაც-კინემატოგრაფიის მუშაკებმა სასტიკი შემოქმედებითი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ, უდიდეს შემოქმედებითი აღმოჩენების გზით.

ყველასათვის ცნობილი უნდა გახდეს, რომ **ხმოვანი კინო იმდენად არის ინტერნაციონალური ყველა ნაციენებზე, რამდენადაც შემოქმედნი ნაწარმოების შექმნას ხაფუძვლად დაუდებენ ინტერნაციონალურ ხოფლმხედველობას** და იბრძოლებენ ისეთ ფილმების შექმნისათვის, რომლებიც იქნებიან ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური.

რედაქციისაგან: ვთავხებთ რა ხადისკუსიოდ ამხ. დ. ხინთიბიძის წერილს „უკანასკნელი მასკარადის“ შესახებ, რედაქცია სასურველად ხთვლის გამოითქვას მოწინააღმდეგე შეხედულებაც, რამდენადაც ხურათი ხერიოზულ მეთოდოლოგიურ კამათს იწვევს. ამ თავითვე შეიძლება აღინიშნოს, რომ წერილის ავტორი გაზვიადებულად აფასებს ფაბულის როლს და თითქო უარყოფს კიდეც ყველა ხხვა ხერხით კინო-ხურათის შექმნის შესაძლებლობას.

რად ივიწყებთ იროდიონ ევდოშვილს!

უნებურად წამოიჭრა ეს კითხვა, როდესაც ლიტერატურული გაზეთის № 23 გადავთვალიერე, სადაც დაბეჭდილია საგანგებოდ შერჩეული მასალები საინტერესო თემაზე: „ტფილისი მხატვრულ ლიტერატურაში“...

სამართლიანადაა აღნიშნული ვ. ბარნოვისა და ი. გრიშაშვილის შემოქმედებაში მოცემული ტფილისის მხატვრული სახეები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ერთგვარ შეცდომას, თუ უსამართლობას, მიეწერება ირ. ევდოშვილის გამოტოვება...

ირ. ევდოშვილმა მე-20 საუკუნის განთიადზე არა ნაკლებ სხვა მწერლებისა, ასახა მხატვრულ შემოქმედებაში ტფილისის პროლეტარიატის მაჯისცემა, მან სანიმუშოდ ჩააქსოვა სოციალური მოტივი იშვიათი ლირიკული პათოსით დაწერილ ლექსში „საღამო ქალაქში“.

მთელი ციკლი მისი ლექსებისა ქალაქის პროლეტარიატისა და აგრეთვე ლუმპენპროლეტარების სოციალური სარკეა:

„მჭედელი პეტრე“, „სახლების მხურავი“, „მატანტალა“, „ბიძია ლუკა“, „ქუჩაზე“ და სხვა.

ვისაც ეს ლექსები და კერძოდ, საღამო ქალაქში—მთლიანად წაუკითხავს, ის უსათუოდ დაინახავდა, რამდენი პოეტური განცდაა იმ ესთეტიკურ სახეებში, სადაც ქალაქის ბურჟუაზიის ფუფუნებაა და მშრომელთა უკმაყოფილებაა დაპირისპირებული:

დიდი ქალაქი, ტურფა ქალაქი,
ღელავს, ვითა ზღვა ქარიშხლიანი,
ფარჩათ შრიალი. ვაჭართ თოთქოლი
და არეული ეტლთა გრიალი,
ვით ტალღა ტალღას სცემს, უერთდება
და შორსა სწვდება განაპირ ქუჩებს...

ბედნიერთათვის გამშვენიერებულ ქალაქის ქუჩებსა და მდიდრულად შემკულ დარბაზებს პოეტი ლირიკული პათოსით მიმართავს:

ჰოი, ქალაქო სამეჯლისოთა
მუდამ მორთულო და მოკაბულო,
ვინ ენდოს შენსა აღელვებულ ზღვას,
რომ არ ატირო არ უორგულო“...

ჰკითხე შენ სეტაკ ბარმარილოებს,
რამდენი ცრემლი ან დაცემულა
და იმ დარბაზებს, ფარდებ დაშვებულს,
სოდომივით რომ ჩაფიქრებულა,
ჰკითხე აკლდამებს შენს ჯურღმულებში,
რა აწერია იმათ აჩრდილებს...
შრომას, ოფლის ღვრას, სიცივეს,
სიმშილს
შენს ქუჩებზედა ხელ-გამოწვდილებს...

ვათავებ იმავე კითხვით, რომლითაც დავიწყე: რათ ივიწყებენ ირ. ევდოშვილს? ეს შეცდომა უნდა გამოსწორდეს.

ბ. ხოსიტაშვილი

რედაქციისაგან: ამხ. ბ. ხოსიტაშვილის საყვედური რედაქციას სრულიად სამართლიანად მიაჩნია. რედაქციას არ შეეძლო არ შეემჩნია არამც თუ ეს ნაკლი, არამედ ისიც, რომ წერილების ავტორების მიერ უყურადღებოდ იქნა დატოვებული საერთოდ რევოლუციურ-დემოკრატიულ და პროლეტარული მწერლების ნაწერები ტფილისზე, თუმცა ისინი რაოდენობით მართლაც მცირერიცხოვანია. სამწუხაროდ ეს ნაკლი არა მარტო რედაქციის შეცდომით, არამედ მარქსისტული კრიტიკის საერთო მდგომარეობითაც აიხსნება. მარქსისტული კრიტიკის მდგომარეობაზე და მისი სისუსტის მიზეზებზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

ასე როგორ შეიძლება

უშუალო, საქმიანი კონტაქტი მწერლისა ამა თუ იმ კოლმეურნეობასთან, წარმოებასთან ან აღმშენებლობასთან უზომოდ ამდიდრებს მის ჰორიზონტს, თემატიკას და საერთოდ შემოქმედებით შესაძლებლობებს.

ასეთი კონტაქტის გასაძლიერებლად ერთერთ, მართალია არა გადამწყვეტ, მაგრამ მაინც სერიოზულ ღონისძიებათ უნდა ჩაითვალოს მწერალთა შემოქმედებითი მივლინებანი.

სამწუხაროდ, ყველა მწერალი სერიოზულად არ უდგება თავის ამოცანას. ილებენ მივლინებებს და ხშირად ან სულ არ გაეცნობიან იმ დაწესებულებას თუ რაიონს, რომელსაც მიემგზავრა, ან „გაეცნობა“ მეტად ზერელედ.

ეს გარემოება უფრო ნათლად გამოაშკარავდა ამ დღეებში მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის კრებაზე, სადაც მივლინებულ ამხანაგებმა „საანგარიშო მოხსენებები“ გააკეთეს თავიანთი მივლინებების შესახებ („მომხსენებლებისადმი“ პატივისცემით და იმ იმედით, რომ მომავალში ასეთი მივლნებებისადმი მათ მიერვე უფრო სერიოზული დამოკიდებულება იქნება—ჩვენ არ ვასახელებთ გვარებს).

პირდაპირ და ბოლშევიკურად უნდა ითქვას: ძალიან ცუდი ნიშანია, როცა მწერალი ემალება სინამდვილეს. მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები წარსულშიაც კი „ხალხში გასვლით“ თავს იქებდენ. ახლა ხალხოსნობის დრო არ არის და მწერლიდან არავინ არ მოელის ინტელიგენტურ „ახისა“ და „ოხის“ ამოძახილებს, მაგრამ ჩვენი სინამდვილის ღრმა შესწავლის გარეშე განა შეიძლება მუშაობა?.

საჭიროებენ დახმარებას

ასე მასიურად და სიცხოველით მწერლობის საკითხებით დაინტერესება უკანასკნელ დრომდე ჩვენს რაიონულ ცენტრებში მართლაც რომ არ ყოფილა. ამის მიზეზი მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობაა უთუოდ.

ზუგდიდში, სენაკში, ფოთში და ხობში, სადაც მწერალთა საკავშირო ყრილობის დელეგატი შალვა დადიანი ყრილობის შედეგებზე გამოდიოდა მოხსენებით—როგორც მოსწავლე ახალგაზრდობა და მასწავლებლები, ისე ადგილობრივი მუშები და კოლმეურნენი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ კამათში გამოსვლითა და პრაქტიკულ წინადადებების შემოტანით. საღამოების ჩატარებაში შალვა დადიანთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა ალ. მაშაშვილი.

ზუგდიდში და ფოთში კი ადგილობრივ ორგანოების მოთხოვნით, სპეციალურად მოსწავლეთათვის მოეწყო ლიტერატურული საღამოები.

მწერლების ინიციატივით ზუგდიდში, რაიონული გაზეთის რედაქციასთან, ხოლო ხობში განათლების განყოფილებასთან, ჩამოყალიბდა ლიტერატურული კაბინეტები. კაბინეტები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ შოთა რუსთაველის სახელობის კულტურულ ლაშქრობაში (შეაგროვებენ და რედაქციებს მოაწვდიან ხალხურ ლექსებს და სიმღერებს).

ახლად დაარსებული კაბინეტები საქართველოს მწერალთა კავშირისაგან საჭიროებენ დახმარებას და ხელმძღვანელობის გაწევას. „ლიტგაზეთის“ რედაქცია მზად არის ყოველგვარი დახმარება გაუწიოს მათ, თუ კი კაბინეტები, ჩვენს რედაქციასთან უშუალო კავშირს დაამყარებენ. სასურველია, რათა ამ კაბინეტებმა ჩვენი გაზეთის მკითხველთა აქტივიც შემოიკრიბოს და დაამუშაოს ყველა აქტუალური საკითხები, რომელსაც გაზეთი აყენებს.

ჩვენი გაზეთი და მკითხველი

ნოემბრის 18

ყველასთვის აშკარაა, თუ რა გრანდიოზული ცვლილება მოახდინა საქართველოში გამარჯვების შემდეგ ჩვენმა პარტიამ საგაზეთო საქმეში. პრესა შეიქნა „პური ჩვენი არსობისა“, გაზეთი გახდა ტრიბუნი, აგიტატორი, პროპაგანდისტი, ორგანიზატორი, აღმშენებელი, მმართველი. უგაზეთოდ საქმე აღარ კეთდება. სიტყვა გადაიქცა საქმედ.

და მიუხედავად ამისა (თუ სწორედ ამიტომ!) ჩვენ ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო ვგრძნობთ ჩვენი პრესის დიდ ნაკლოვანებებს, კერძოთ ლიტერატურული პრესისას. საგაზეთო კულტურის ყველა დარგში გამოსჭვივის ეს ნაკლი—აიღებთ იდეურ სიმკვეთრეს, მებრძოლ კონკრეტობას და აქტუალობას თუ ტექნიკურ-მხატვრულ მხარეს. ჩვენ აღმოსავლურად ზანტნი ვართ—გაზეთი და სიზანტე კი შეუთავსებელი ცნებებია. გაზეთი ყოველდღიურობაა, გაზეთი სანგრებია, აქ ბრძოლა და ენთუზიაზმია.

განსაკუთრებით ზანტი იყო ლიტერატურული პრესა. გაზეთი დღემდე ვერ განუსხვავებიათ ალმანახისაგან, კრებულისაგან, ყურნალისაგან.

ლიტერატურულ საზოგადოებრიობაში და კერძოდ მწერლებში ჯერ კიდევ არსებული კარჩაკეტილობის ტენდენციები გაზეთსაც კარჩაკეტილობისაკენ მიეზიდება. ასეთი ტენდენციის მწერლებს აინტერესებთ არამკითხველი, არამედ თავისი თავი, თავისი პროდუქციის მხოლოდ დასტამბვა.

ამიტომ იყო, რომ ხშირად ზოგიერთ ლიტერატურულ გამოცემას კითხულობდენ მხოლოდ მწერლები და ისინიც კი უხალისოდ. ლიტერატურულ საკითხების ფონზე ფართო კულტურული საკითხების დაყენების ტრადიცია დღემდე ჩვენ არ გვქონია და ზოგიერთს ეს ლიტერატურისადმი ღალატად მიაჩნდა. ასეთია ამქრული ფსიქოლოგია: რაც მის ცეხს სცილდება, მას არც კი ადარდებს.

ჩვენი გაზეთი საკავშირო ყრილობის შემდეგ ჩატარებულ გადახალისების შედეგად რომ წინ წავიდა—ამას ყველა სცნობს, მაგრამ დღეს გამოქვეყნებულ მკითხველთა უმრავლესობას ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ნაკლთა მითითებაში და განსაკუთრებით საჩივრებს კრიტიკის შესახებ.

ახლა ძნელია ამომწურავად პასუხი გავცეთ ამ მართლაც უდიდესი ნაკლის მიზეზების შესახებ (ამას მომავალში შევეცდებით), მაგრამ ჩვენ მაინც ვალდებული ვართ ჩვენ საზოგადოებრიობას პირდაპირ, ბოლშევიკურად მივუთითოთ ამ ნაკლის ზოგიერთ მიზეზზე.

რედაქციის ჯერ კიდევ არასაკმაო მოქნილობაც თამაშობს, რა თქმა უნდა, როლს. მაგრამ მთავარია კრიტიკის მდგომარეობა საერთოდ. კრიტიკა კლასის, მისი წამყვანი აქტივის ნებისყოფის გამომხატველია და როგორ უნდა გამოიხატოს ეს ნებისყოფა სრულად და ყოველმხრივ, თუ ჩვენი საზოგადოებრიობა ლიტერატურის დარგში საკმაოდ ვერ არის ორგანიზებული, თუ ჩვენი მწერლური „ცეხი“ ჯერ კიდევ ვერ დაუფლებია მკითხველთა ფართო მასებს.

აიღეთ სანიმუშოდ თუ გნებავთ „ლიტგაზეთის“ ხალხში გავრცელება დღემდე: ხელისმომწერთა რაოდენობა თვიურად საშუალოდ არ აღემატებოდა 300—400. მართალია, გაზეთი საცალო ვაჭრობითაც ვრცელდებოდა და ხელისმომწერთა სიმცირე გაზეთის არარეგულარობასაც მიეწერება, მაგრამ არარეგულარობაც ხომ იმავე საზოგადოებრიობის არასაკმაო დარაზმულობით აიხსნება.

დღეს გაზეთის ხელისმომწერთა რაოდენობა (თუმცა ხელისმოწერის ორგანიზაციისთვის ჯერ კიდევ მაგრად ვერ მოგვიკიდნია ხელი) ექვსდღიურზე გადასვლის ერთი თვის შედეგად 1300-1500-მდე ავიდა (დანარჩენი საცალო ვაჭრობის ხაზით მიდის). ეს, რა თქმა უნდა, ზრდაა და დიდიც, მაგრამ მაინც წვეთია ზღვაში იქ, სადაც ლიტერატურის გრანდიოზულ ამოცანებზე ვლაპარაკობთ.

აიღეთ დამახასიათებელი რაიონები: ტფილისი, რა თქმა უნდა, ყველაზე წინ დგას: იგი ტირაჟის თითქმის ნახევარზე მეტს ითვისებს (3.500-მდე), მაგრამ ხელის მოწერა ჯერ მაინც სუსტია (300-მდე). ჩვენ აღარ ვლაპარაკობთ ბათომზე, სადაც სამარცხვინო მდგომარეობაა (100 საცალო, 22 ხელისმოწერა), ზუგდიდში (40 და 26), ჭიათურაში (50 და 11), სტალინისში (50 და 10). ჩამორჩენა, თუმცა არა ასეთი მაშტაბით, ქუთაისიც, გურია საერთოდ და განსაკუთრებით ლანჩხუთი და ჩოხატაურის რაიონები, თუმცა ოზურგეთის რაიონიც ვერ შეიქნებს თავს. სამაგიეროდ საინტერესო სურათს აქვს ადგილი სამეგრელოს სხვა რაიონებში (სენაკი ხელისმოწერა 130-მდე, ხობი 40-მდე, აბაშაც ამდენივე და ა. შ.).საინტერესოა ისიც, რომ დასავლეთის ზოგიერთ „კულტურულ“ რაიონებს უფრო აღმოსავლეთის ოდესღაც ჩამორჩენილი რაიონები სჯობნიან.

რა კავშირი აქვს ყოველივე ამას კრიტიკის საკითხებთან?

ის, რომ სანამ თავის სიმაღლეზე არ დადგება ლიტერატურული საზოგადოებრიობა საერთოდ, მანამ ვერ წავა წინ კრიტიკაც.

ჩვენი კრიტიკის მსაჯულებად დღემდე ფართო მშრომელ მკითხველთა ფენები კი არ გამოდიოდენ, არამედ თვით მწერალი. კრიტიკა დიდ შეცდომას სჩადის, როცა მხოლოდ მწერლებს მიმართავს. მწერლების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ისინი, ვინც თავს „მწვერვალზე“ (!) გრძნობენ—კრიტიკას არ ითმენენ. იცის თუ არა მკითხველმა თუ რა ძნელია თვით ჩვენი გაზეთისთვისაც კი ამა თუ იმ მწერლის ნაკლოვანებათა გაკრიტიკება? კრიტიკოსი კი აპელაციით მიმართავდა არა პროლეტარულ მკითხველ საზოგადოებრიობას, არამედ ისევ იმ მწერალს. აქედან შეიქნა ჯგუფური კრიტიკა, „დამუშავებითი“ თუ „შექებითი“ წერილების ტრადიცია, მწერალთან „ჩხირკედელაობის“ მანერა და „ოჯახური“ საჭიროებისათვის გამიზნული ბიბლიოგრაფიები. არსებით ლიტერატურულ-საზოგადოებრივ პრობლემათა ნაწარმოების კონკრეტულ გარჩევის საფუძველზე დაყენების დიდი ტრადიცია ჩვენ ჯერ არ გვაქვს და თუ ოდნავ მაინც გვაქვს ხოლმე კრიტიკული წერილები, ისინი ხშირად მხდალ ინფორმაციის ხასიათისაა და პრობლემურ კრიტიკის სიმაღლეზე ვერ ადიან.

კრიტიკისაგან მწერალთა ცეხური და ჩამორჩენილი ელემენტები მოითხოვენ „ქებას“, „ხსენებას“, „პატივისცემას“ და არა ანალიზს. სუსტი კრიტიკოსიც ამ გზით მიდის.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ თვით კრიტიკაცაა დამნაშავე ყოველივე ამაში, მაგრამ კრიტიკის საკითხს გადასჭრიან არა მარტო კრიტიკოსები, არამედ ლიტერატურული საზოგადოებრიობა მთლიანად.

კრიტიკის ასეთ სიმაღლეზე დაყენებისთვის იბრძოლებს ჩვენი გაზეთი მკითხველთა და მწერალთა აქტივის საქმისადმი გაზრდილი ინტერესის საფუძველზე.

პლატონ ქიქოძე

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲔᲑᲡ

„ლიტგაზეთის“ რედაქცია თხოვს ყველა რაიონული გაზეთების რედაქციებს სისტემატურად გამოგზავნონ თავიანთი გაზეთები მათ მიერ ჩატარებული ლიტერატურული მუშაობის შესაფასებლად და საერთოდ კონტაქტის დასამყარებლად.

ᲕᲣᲙᲝᲚ ᲑᲣᲠᲝᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲘᲡ ᲙᲐᲛᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲕᲔᲤᲮᲘᲡ-ᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ ᲨᲔᲮᲐᲑᲔᲑ,—ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲯᲘ Ს. ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

სადაც „ანი“ ეწერა
იქ ჩაწერა „ბანი“ მან

რუსთაველს რა შესძინა
ან ამან და ან იმან

7.000.000 ᲐᲛᲝᲜᲐᲑᲔᲭᲓᲘ

7.000.000 ამონაბეჭდი უნდა გამოსცეს სახელგამმა 1935 წელს. უმთავრესად კლასიკოსების გამოცემას ფიქრობს სახელგამი: — 5.400.000 ამონაბეჭდია გამოყოფილი მათთვის. დანარჩენი კი თანამედროვე მწერლობისათვის.

ქილილა და დამანა, თეიმურაზ პირველის ნაწერები, კალმასობა, ილია ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ალ. ჭავჭავაძის და ნ. ბარათაშვილის ნაწერების სრული კრებულები და სხვა. გარდა აკადემიური გამოცემისა კლასიკოსთა ნაწერები გამოცემულ იქნება მასიურ ბიბლიოთეკის სახითაც.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე გამოირკვა, რომ ნაწილი ავტორებისა არ გრძნობენ პასუხისმგებლობას, ვადაზე არ აბარებენ შეკვეთილ მასალებს, რაც აფერხებს სახელგამის მიერ დასახულ საგამომცემლო გეგმის შესრულებას.

ეაგრამ არანაკლებ უპასუხისმგებლობას იჩენს სახელგამი ავტორების მიმართ: თავის დროზე ჩაბარებული შეკვეთილი მასალები წლობით უყურადღებოთაა მიტოვებული სახელგამის ხელძღვანელთა „პორთფელებში“, მაშინ როცა მათი გამოცემა საჭიროა და აუცილებელიც.

სახელგამის მიერ წარმოდგენილ გეგმაში სრულებით **არ არის გათვალისწინებული ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტმცოდნეობის საკითხებზე წიგნების გამოცემა.** კლასიკოსების შერჩევაც არარის სავსებით სწორი. **არ არის ხალხსნური, დემოკრატიული მწერლობა.** ჩვენ გვგონია, რომ სახელგამმა თავისი გეგმა უნდა შეასწოროს.

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

ი. გრიშაშვილის ისტორიულ ნარკვევში („ლიტგაზეთი“ № 23) კორექტურული შეცდომაა: დაბეჭდილია: „განჯისკარი“, უნდა იყოს „კოჯრისკარი“.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

19 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲡᲐᲦ. 7 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ განათლების მუშაკთა სახლში საქართველოს საბჭოთა მეერლების კავშირი აწყობს აიხ. მ. ტოროშელიძის თავმჯდომარეობით დისკუსიას კონსტ. ჭიჭინაძის რედაქტორობის გამოცემით „ვეფხის ტყაოსნის“ გარშემო. მოხსენებას „ვეფხის ტყაოსნის დაბოლოება“ წაიკითხავს მიხ. ჯავახიშვილი კამათში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული აროან: მეცნიერული მუშაკები—პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ი. აბულაძე, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძეს, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, ა. ჩიქობავა, ვ. ბერიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ვ. თოფურია, ს. იორდანიშვილი, და სხვ. ძწერლები—ს. აბაშელი, პ. იაშვილი, ტ. ტარიძე, ვ. გაფრინდაშვილი, კ. გამსახურდია, სიმ. ჩიქოვანი, გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, ს. შანშიაშვილი, აკ. გაწერელია, ლ. ქიაჩელი, დ. მეგრელი, ლ. მეტრეველი, დ. შენგელაია, გ. ქიქოძე, შ. დუდუჩავა, ბენ. ბუაჩიძე, დ. დემეტრაძე, პ. ქიქოძე, შ. რადიანი, და სხვ.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

პოეტი პაოლო იაშვილი მიმდინარე საარჩევნო კამპანიის პროცესში არჩეულ იქნა თავისი სამშობლო სოფლის, არგვეთის საბჭოს წევრად (ჭიათურის რაიონი).

იასამანმა უშუალოდ უკრაინულიდან ქართულად სთარგმნა ტარას შევჩენკოს რამდენიმე ნაწარმოები, მათ შორის ლექსები და პოემები: „ნ. ვ. გოგოლს“, „№№“, „მეფე ფელდ-ფებელი“ (პოემა ნიკოლოზ პირველზე), „უკრაინას“, „ჩიორნი იარი“ და პოემა „კავკასია“.

„ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲘ“ (№ 129) წერს: „ჭიათურის კინოს ახალი შენობის მშენებლებმა მოატყუილეს მოსახლეობა და არ დაიწყეს დროზე მუშაობა, ამან გამოიწვია ის, რომ ერთი წლით მაინც ჭიათურას არ ექნება კინო-დარბაზი“.

რედაქტორი: **ᲞᲚᲐᲢᲝᲜ ᲥᲘᲥᲝᲫᲔ**

რედაქციის მდივანი: **ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲩᲐᲩᲐᲕᲐ**

გამომცემელი „ლიტგაზეთის“ გამომცემლობა

ᲕᲘᲬᲧᲔᲑᲗ 1935 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲖᲔ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲨᲚᲘᲚ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡ

ხელის მოწერა მიიღება „სოიუზპეჩატი“-ს და ფოსტის ყველა პუნქტებსა და განყოფილებებში.

გვესაჭიროება წარმომადგენელნი, რომელნიც ერთდროულად იკისრებენ გაზეთზე ხელის მოწერის კამპანიის ჩატარებას ცალკეულ რაიონებში, ქარხანა-ფაბრიკებში, წარმოება დაწესებულებებში, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში.

მსურველთ ვთხოვთ შეგვატყობინონ თანხმობა და მისამართი რედაქციის სახელზე. მათ ინახულებს ჩვენი წარმომადგენელი პირადათ ადგილობრივ მოსალაპარაკებლად ან მივაწვდით სათანადო ინსტრუქციას წერილობით. ხელის მომწერის შემკრებნი მიიღებენ სათანადო ჯილდოს.

გაზეთი გამოდის ყოველ გამოსახვლელ დღეს, თვეში ხუთი ნომერი. ღირს 1 მან. 50 კაპ. თვიურად. ცალკე ნომერი 30 კაპ.

„ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“-Ს ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ

ტფილისი, მაჩაბლის ქუჩა № 13. ხელოვანთა სასახლე. ტელეფ. 3—47—10.

ᲡᲐᲥᲬᲘᲒᲜᲘ

დაიწყო ხელის მოწერა

ᲩᲐᲠᲚᲖ ᲓᲐᲠᲕᲘᲜᲘᲡ

თხზულებათა კრებულზე 4 (ოთხ ტომათ, შვიდ წიგნათ)

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲔᲜ:

პროფ. ი. ბერიტაშვილი, პროფ. გ. ვაწაძე, პროფ. ა. ჯავახიშვილი, პროფ. ვაშაყმაძე, პროფ. ლ. კალანდარიძე, დოცენტი გრ. გოგიბერიძე, დოც. ვარდოსანიძე, დოც. ანდრიაძე, პროფ. გ. ჯავახიშვილი, დოც. კეცხოველი, პროფ. ა. ჯანელიძე და დოც. ეპ. ვასაძე.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲒᲠ. ᲒᲝᲒᲘᲑᲔᲠᲘᲫᲔ

მთარგმნელები: ერ. ტატიშვილი, ნ. აბაშიძე, თ. ორბელიანი, ელ. ორბელიანი, ელ. კარბელაშვილი, ა. ქართველიშვილი, გრ. გოგიბერიძე და ი. გვარჯალაძე.

ტექსტი ითარგმნება ინგლისურ მეექვსე გამოცემიდან. ყოველ ტომს დართული ექნება სპეციალური წინასიტყვაობა, ავტორთა საძიებელი, ინდექსი და ტერმინების ლექსიკონი ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე.

ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲖᲔ, ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲠ ᲧᲓᲐᲨᲘ

ფასი მთელი გამოცემისა—90 (ოთხმოცდა ათი) მან.

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ:

ხელის მოწერის დროს ხელისმომწერს გადახდება 10 (ათი) მანეთი, დანარჩენი თითოეულ ტომის ღირებულების მიხედვით.

1-ლ ტომს „სახეთა წარმოშობას“-ს ხელის მომწერლები მიიღებენ 1935 წლის 1-ლ კვარტალში.

ხელის მოწერა მიიღება საქწიგნის პერიოდსექტორში (აღმასკომის ქ. № 7), ყველა საქწიგნის განყოფილებებში და მაღაზიებში, აგრეთვე სპეციალურ წარმომადგენლების მიერ.

შეკვეთები, წერილები და ფული უნდა იგზავნებოდეს შემდეგ მისამართზე: ტფილისი, აღმასკომის ქ. № 7 პერიოდსექტორს.

ᲡᲐᲥᲐᲠ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲝ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲔᲥᲪᲘᲐ ᲑᲐᲕᲨᲗᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲬᲧᲝᲑᲡ.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲐᲓᲐᲡ

1. წარმოდგენილი მასალა (ლექსი, პროზა, პიესა და სხვა) არ აღემატებოდეს ორს, (თითო რაიონიდან) რესპუბლიკანურ ოლიმპიადაზე გამოსაგზავნად.
2. მასალა წარმოდგენილი უნდა იქნეს ორ-ცალად.
2. ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებენ მოწაფეები მე-5 კლასიდან მე-10 კლასამდე.
4. ოლიმპიადაზე გამოგზავნილი მასალა უნდა ეხებოდეს შემდეგ თემას (ლექსი, პროზა, პიესა და სხვა).

ა) სკოლის ცხოვრებიდან, ბ) საკოლმეურნეო ცხოვრებიდან
გ) წარმოებების დარგიდან, დ) ცხოველთა სამეფოდან,
ე) პოლიტთემები, ვ) ექსკურსიები და სხვა.

5. მასალის წარმოდგენის ვადა დანიშნულია 1934 წ. 20 დეკემბერი.

ᲝᲚᲘᲛᲪᲘᲐᲓᲘᲡ ᲟᲘᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ:

1. მალაქია ტოროშელიძე (თავმჯდომარე)
2. ირაკლი აბაშიძე (მდივანი)
3. ნინო ნაკაშიძე
4. ლეო ქიაჩელი
5. ი. გრიშაშვილი
6. გ. გოგუაძე (განსახკომი)
7. გიორგობიანი (კომკავშირის ცეკა)

რაიონებში და ტფილისის სკოლებში მოწყობილ კონკურსზე საუკეთესოდ ცნობილი მასალები წარმოდგენილი უნდა იქნეს მწერალთა კავშირში (მაჩაბლის ქუჩა № 13).

ᲝᲚᲘᲛᲪᲘᲐᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

მთავლიტის რწმუნებული № 8350 — ცეკავშირის სტამბა, პუშკინის ქუჩა № 3. — დაკვ. № 1207